პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—53

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—83 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამძლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

პარასკევი, 5 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 278 (1133)

დღიური

— ეგვიპტის პარლამენტის 113 წევრი მოითხოვს ეგვიპტის პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევას.

— პოლონეთის პოლიციის მიერ წამებული უკრაინელი დეპუტატი ვარენცი შეიშალა.

— ლოძში (პოლონეთი) გრძელდება ფეიქრების გაფიცვა.

— მთელ ესტონეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები; მთავრობა განაგრძობს კომუნისტების დატუსაღებას.

— ამხ. ჩიჩერინმა მიიღო საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მუსლიმანების პროტესტი ინგლისის მოქმედების წინაალმდეგ ეგვიპტეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლება და ინტელიგენცია

მკითხველი დღეს გაეცნობა ამხ. რიკოვის მოხსენებას ინჟინერთა ყრილობაზე მოსკოვში. მოხსენება ეხება ინტელიგენციის მნიშვნელობას ხალხის მეურნეობის და კულტურულ აღორძინების საქმეში, აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებისა და ინტელიგენციის ურთიერთობის საკითხს.

სამართლიანად ამბობს ამხ. რიკოვი, რომ „სოციალიზმი თავისთავად შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვახერხებთ მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მიღწევათა განხორციელებას ცხოვრებაში, თუ მათ საფუძვლებზე მოვაწყობთ ჩვენს მრეწველობას, ჩვენს მიწადმოქმედებას, მთელი ჩვენი მეურნეობას". არსად არ აქვთ გადაშლილი ისეთი ფართო ასპარეზი მოღვაწეობისათვის მეცნიერულ და ტეხნიკურ ძალებს, როგორც საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ახალი ცხოვრება შენდება მეცნიერებისა და შრომის კავშირის ნიადაგზე. აქ მეცნიერება-ტეხნიკის მიღწევებს ენიჭებათ უაღრესი მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი ემსახურებიან არა რომელიმე ვიწრო ჯგუფის, არამედ მთელი მშრომელი ხალხის არსებობის პირობების გაუმჯობესებას, მისი ნივთიერი და კულტურული პროგრესის საქმეს.

ჩვენთვის საჭირო არ არის მარტო უმაღლესი კვალიფიკაციის ინტელიგენცია, არა მარტო უმაღლესი ტიპის სპეციალისტები, არამედ საშუალო კვალიფიკაციის ინტელიგენციაც. ჩვენი ხალხი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია; სხვა რომ არაფერი ვსთქვათ, უბრალო წერა-კითხვის უცოდინარობა მასიურ მოვლენას წარმოადგენს. ამავე დროს კი საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანას შეადგენს ხალხის გამოყვანა სიბნელიდან, მისი კულტურული დონის ამაღლება. ჩვენ ვიცით, რომ ახალი საზოგადოებრივი წყობილების, სოციალიზმის დასამყარებლად ბნელი, უკულტურო მასსა არ არის გამოსადეგი. ამიტომაცაა, რომ [illegible] თავის ძალ-ღონეს ანდომებს ე. წ. მესამე ფრონტს, განათლების საქმეს. მშრომელი მასსაც უდიდეს მისწრაფებას იჩენს ცოდნისაკენ, სინათლისაკენ, რათა გახდეს მშრომელთა რესპუბლიკის შეგნებული და აქტიური მონაწილე. და ეს მისი ლტოლვა, მოთხოვნილება უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

გარდა ამისა ჩვენ გვესაჭიროება მცოდნე, ინტელიგენტური ძალები სახელმწიფო აპარატში, სამეურნეო, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებში.

აქედან ცხადია, თუ როგორ აფასებს საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციას.

მხოლოდ ერთი რამ უნდა ითქვას ხაზგასმით: ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ინტელიგენცია, რომელიც უყოყმანოდ სცნობს ოქტომბრის რევოლიუციას, მშრომელთა განუზიარებელ ბატონობას და რომელიც გულწრფელად მოწადინეულია ემსახუროს მშრომელ ხალხს.

ოქტომბრის პირველ წლებში ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი განუდგა ხალხს. ჩვენ არას ვიტყვით იმ ინტელიგენციაზე, რომელიც მატერიალურად, თავისი მდგომარეობით, იდეიურად უშუალოდ იყო დაკავშირებული თვითმპყრობელობასთან და ბურჟუაზიასთან და პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისინი იმთავითვე აღმოჩნდენ მუშათა კლასის მტრების ბანაკში და გააფთრებით ებრძოდენ გამარჯვებულ მშრომელ ხალხს, ან კიდევ შეფარებული იყვნენ ჩვენს დაწესებულებებში და იქიდან ბოროტ საბოტაჟს ეწეოდნენ, ზურგში ლახვარს სცემდენ მას. მრავალი მათგანი დღესაც შეურიგებელი მტერი დარჩა საბჭოთა ხელისუფლების.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას პირველ ხანებში განზე გაუდგა ე. წ. ფართე ინტელიგენციაც. ისიც მოწამლული აღმოჩნდა ბურჟუაზიის იდეოლოგიით.

მაგრამ დრო გადიოდა. მუშურ-გლეხური რეჟიმი მტკიცდებოდა. მიუხედავად მრავალი სიძნელეთა რომელნიც, სხვათა შორის, გამოწვეულნი იყვნენ ინტელიგენციის საბოტაჟით. საბჭოთა წყობილების გამაგრებას და ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად მოხდა გარდატეხა ინტელიგენციაში, პირველ ყოვლისა მის ქვედა ფენებში (მასწავლებლობა) და შემდეგ უმაღლეს წრეებშიც (მეცნიერები). ინტელიგენციის უმრავლესობამ შეიგნო თავისი შეცდომები, შეითვისა ოქტომბრის აზრი და დადგა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე. დღეს ის საერთოდ გულწრფელად ამოუდგა გვერდში მუშასა და გლეხს და მოწადინებულია თავისი ცოდნა მოახმაროს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. მთავრობაც ხელს უწყობს მას, ცდილობს გააუმჯობესოს მისი არსებობის და მუშაობის პირობები და ჩააბას აღმშენებლობითი მუშაობაში.

რაც ზევით ვთქვით, უმთავრესად ეხება რუსეთის მშრომელ ინტელიგენციას. ჩვენში კი მდგომარეობა რამოდენიმედ სხვანაირია. მართალია, რომ ჩვენს მშრომელ ინტელიგენციაშიც მოხდა საგრძნობი გარდატეხა. მისი უმრავლესობაც ბოლო ხანებში „შეურიგდა" მშრომელთა ბატონობას და ებმება საბჭოთა აღმშენებლობაში. მაგრამ ისიც უდავოა, რომ კიდევ მრავალი მოიპოვება ჩვენში ისეთი ვინც შავი ზღვისაკენ იყურება და იქიდან მოელის „ხსნას". მენშევიკების ავანტიურამაც ეს თვალსაჩინოდ გამოააშკარავა. იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მსახურობდნენ საბჭოთა დაწე- [illegible] ძირს უთხრიდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, პირდაპირი მონაწილეობა მიიღეს „აჯანყებაში". და როცა მშრომელი ხალხის ასეთ მტრებს მთავრობა დაწესებულებათა კარებს უკეტავს, ისინი ამას „ნაციონალურ დევნად" აცხადებენ. მაგრამ არავინ არის დღეს ისეთი სულელი, ვინც მათ დაუჯერებს.

ჩვენმა ინტელიგენციამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან მას შეუძლია თანამშრომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის საბოლოოდ აიღებს ხელს ძველი წყობილების აღდგენის ფიქრზე და საბოლოოდ „იცნობს" საბჭოთა დიქტატურას.

როგორც ვსთქვით, ამ გზას უკვე დაადგა ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი. საბჭოთა ხელისუფლებაც ცდილობს **გასაბჭოებული** ინტელიგენცია სავსებით გამოიყენოს მშრომელთა სასარგებლოდ, ჩააბას ის ქვეყნის ამაღორძინებელ მუშაობაში, ხალხის კულტურული გათვითცნობიერების საქმეში. ამავე დროს ის ქმნის მისთვის ხელსაყრელ ნივთიერ და საზოგადოებრივ პირობებს—მისი უფლება-ღირსების დასაცავად და რიგიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი მთავრობა ყოველ ზომას ღებულობს, რათა ინტელიგენციას გაუადვილოს მასთან თანამშრომლობა. ინტელიგენციამ **მთლიანად** უნდა შეიგნოს ცხოვრების ვითარება და თუ მას მართლა სურს ხალხის სამსახური, რახედავაც ის მუდამ გაიძახის, კიდეც უნდა გადადგას ამ მხრივ რეალური ნაბიჯები. ამისათვის მას აქვს მიცემული სრული შესაძლებლობა.

თეთრი ტერორი ესტონეთში

ესტონეთის მუშათა კლასი ამ დღეებში იძულებული გახდა აეფრიალებია აჯანყების დროშა თავის ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. როგორც დეპეშებიდან სჩანს აჯანყება მეტად უთანასწორო და მუშათა კლასისთვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო და ის კიდეც დამთავრდა დამარცხებით.

ესტონეთი ერთი იმ პატარა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთაგანია ბალტიის ზღვის პირზე, რომლების ბურჟუაზიაც ძალიან ცდილობს არ ჩამორჩეს და გაუსწროს კიდეც დიდ კაპიტალისტურ ქვეყნების ბურჟუაზიას რეაქციონურ მიდრეკილებებში, სისასტიკეში და ჯალათობაში მუშათა კლასის მიმართ.

ამის მაგალითები, შორს რომ არ წავიდეთ, მან სულ ამ უკანასკნელ ხანებშიც გვიჩვენა, როდესაც ის ასამართლებდა 149 კომუნისტს მეფის მთავრობის დაწესებულ და არსად სხვაგან არ არსებულ კანონების მიხედვით. მან ამ კანონების სიმკაცრე კიდეც გააორკეცა, გააძლიერა, რომ უფრო სასტიკათ და დაუნდობლათ დაესაჯა თავის ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენლები. ეს არ იყო ჩვეულებრივი გასამართლება, ეს იყო კლასობრივი შურისძიება, რომელიც უკარნახა სასამართლოს ესტონეთის თეთრგვარდიელთა დემოკრატიულმა მთავრობამ.

„სასამართლოს შეურაცხყოფისთვის" ბარბაროსულათ და არაჩვეულებრივი სისწრაფით დახვრეტილ იქნა ერთი ბრალდებულთაგანი ამხ. ტომპი, დანარჩენთა მიმართაც გამოტანილ იქნა აგრეთვე მეტად მკაცრი განაჩენი, რომელმაც საერთო აღშფოთება გამოიწვია ყველა ქვეყნის მუშათა კლასში.

მაგრამ ესტონეთის თეთრგვარდიელთა მთავრობა ეხლა კიდევ უფრო მეტ სისასტიკეს იჩენს და ბარბაროსულ დევნას აწარმოებს მუშათა კლასის მიმართ; აჯანყების შემდეგ მან უკვე მოასწრო 23 კომუნისტის დახვრეტა, მრავალია დაპატიმრებულებიც, რომლებსაც არა ნაკლებ სასტიკი სასჯელი მოელით. მთელ სახელმწიფოში სამხედრო წესებია გამოცხადებული და თეთრი ტერორი მძვინვარებს. საველე სასამართლოები განუწყვეტლივ მუშაობენ და აჯანყების მონაწილეთ სიკვდილით სჯიან.

ამნაირათ ესტონეთის ბურჟუაზია, როგორც სჩანს დღესასწაულობს თავის გამარჯვებას, რომელსაც ხელს უწყობენ აგრეთვე სოციალდემოკრატები და ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი სოციალისტებიც. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ისინი ერთხმად უჭერდენ მხარს ესტონეთში სამხედრო წესების გამოცხადებას და გენერალ ლაიდნერისთვის დიქტატორული უფლებების მინიჭებას. როგორც ყველგან, ისე იქაც, ესტონეთშიც სოციალ-შეთანხმებლები მუშათა კლასის მოსისხლე მტრების ბანაკში იმყოფებიან, ენერგიულათ უწყობენ ხელს ბურჟუაზიის გამარჯვებას და მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილის ფიზიკურ განადგურებას, სისხლის მორევში მის ჩახრჩობას.

ესტონეთის მუშათა კლასის მდგომარეობა დღეს მეტად მწვავეა; ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა, რომელიც დღემდეც სულს უხუთავდა მას, მომავალშიც კიდევ უფრო გააუარესებს მის მდგომარეობას. როგორც ესტონეთის კომპარტიის ცეკას წევრმა ამხ. რიასტასმა განაცხადა: აჯანყება გამოწვეული იყო ესტონეთის მუშათა კლასის საშინელი ეკონომიური მდგომარეობით და მთავრობის პროვოკაციით. სამწუხაროთ მუშათა კლასის ცდა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და თეთრგვარდიელთა მთავრობის დასამხობათ, დამარცხებით დამთავრდა. რეაქცია შეტევაზე გადადის და მრავალ მსხვერპლს შეიწირავს.

მაგრამ ესტონეთის პროლეტარიატი და გლეხობა, რომელნიც წარსულში რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამოწრთობილია რევოლიუციონური ბრძოლის ქარცეცხლში, იძულებულია მხოლოდ დროებით დაუმორჩილდეს თავის იწარე ბედს, რომ მომავალისთვის მოემზადოს ახალი გადამწყვეტი ბრძოლისთვის. ამ აჯანყების მწარე გამოცდილების გათვალისწინებით და შეგნებით ეს მომავალში მოამზადებს თავის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

ტრედ-იუნიონების დელეგაცია საქართველოს შესახებ

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე ინგლისის პროფკავშირების დელეგაციამ შემდეგი განაცხადა საქართველოს შესახებ:

1. დამოუკიდებელი მენშევიკური საქართველო, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან ევროპის იმპერიალისტების ინტერესები და რომლის იქით იმყოფება ბაქოს ნავთის წყაროები შეიძლება იყოს მხოლოდ სათამაშო დიდი სახელმწიფოების ხელში.

2. „დამოუკიდებელი" საქართველო მალე გახდებოდა პლაცდარმად კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიისათვის, ან შეიძლება, მონარქიული რეაქციისათვისაც კი. ასეთი „დამოუკიდებლობის" გამოცხადების ორი თვის შემდეგ გავრცელდებოდა ხმები ვრანგელის დესანტზე ან კიდევ სხვა რამეზე. შემდეგ კი თანდათანობით მოეწყობოდა საქართველოს ტერიტორიაზე კონტრ-რევოლიუციონური არმია და დაიწყებოდა ომი საბჭოთა რუსეთთან. საქართველო გახდებოდა [illegible] ბრძოლის ხელშემწყობ ფარმობა.

3. ომის შემდგომი ევროპის ისტორია ამტკიცებს, რომ ევროპაში ნამდვილად არ არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, გარდა ეგრედწოდებული დიდი სახელმწიფოებისა.

4. მენშევიკები, შესაძლებელია, პატიოსანი ხალხია, მაგრამ ისინი უეჭველად პოლიტიკურად ბეცი არიან. ასეთი ადამიანები არა ნაკლებ საშიში არიან, ვიდრე უსინდისო ავანტიურისტები.

5. საბჭოთა რეჟიმი ყველაზე უფრო უზრუნველყოფს ქვეყნის დაცვას და მშვიდობიან აღორძინებას, მისი კულტურის განვითარებას. სავსებით გასაგებია ქართველი ბურჟუაზიის გაბოროტება, რომელმაც დაჰკარგა თავისი საკუთრება. ერი მთლიანად სავსებით უზრუნველყოფილია და მას სურს მშვიდობიანობა, თავისი ცხოვრების გარდაქმნა ახალ ეკონომიურ საფუძველზე.

6. რაკი ქართულ ენას უკავია გაბატონებული მდგომარეობა სკოლებში და ადმინისტრაციაში, რაკი საქართველოში სამშობლო ენაზე თავისუფლად გამოდიან წიგნები და გაზეთები, რაკი ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა წინ იქნას წაწეული ამ ხალხის ეროვნული კულტურა,—**ყოველგვარი ლაპარაკი იმაზე, რომ ქართველი ერი სულს ღაფავს მოსკოვის უღელქვეშ, წარმოადგენს სისულელეს და გამოგონილია საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალისტური მტრების მიერ.**

7. არსად დელეგაციას არ უნახავს „დანგრეული საქართველო", რაზედაც აგრეთვე გაიძახიან საბჭოთა კავშირის მტრები. ყველგან საქართველოში სწარმოებს დიდი მუშაობა მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის და კულტურული დონის ასამაღლებლად. ამის დამამტკიცებელია ჩვენი კვლევა-ძიების შედეგები.

8. საუცხოვო და თავისი გრანდიოზულობით განსაცვიფრებელი დემონსტრაცია, რომლის მოწმეები ჩვენ ვიყავით გუშინ, ამტკიცებს, რომ **ქართველების უდიდესი უმრავლესობა შეეზარდა საბჭოთა რეჟიმს და აქტიურად უჭერს მას მხარს.**

პერსელი (თავმჯდომარე), ფრედ ბრამლი, ბენ ტილეტი, გრებერტ სმიტი, ალენ ფინდლეი, ჯონ ბრომლეი.

[illegible] 1924 წ.
სად. ბილაჯვრით

სოფელი

მეტი უპარტიო გლეხები საბჭოებში

გლეხობასთან უფრო მჭიდრო კავშირის გაბმის, სოფლად მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიამ ფრიად გარკვეული და კატეგორიული დადგენილებები მიიღო. ერთი ასეთია უპარტიო გლეხთა მეტი რიცხვის გაყვანა საბჭოებში და მოწინავე საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მტკიცედ მდგარ მშრომელ გლეხების აქტიური ჩაბმა სოფლის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

მაგრამ ეს დირექტივა არა ყველგან და არა ყოველთვის ტარდება ცხოვრებაში საჭირო მასშტაბით. რუსეთში ბევრ ალაგას მოხდა საბჭოთა არჩევნები. გაზ. „პრავდა" აღნიშნავს, რომ ადგილებზე ხშირად ისევ იჩენენ ზედმეტ, ვითომდა კომუნისტურ „გულმოდგინეობას": აუცილებლად აირჩიონ „100 პროც. კომუნისტები".

ამის გამო „პრავდა" სწერს:

„არჩევნებმა პირველ ყოვლისა **უნდა განამტკიცოს პარტიის კავშირი უპარტიო გლეხობასთან.** უნდა შევიგნოთ, რომ ნამდვილ, მკვიდრ და ხანგრძლივ ხელმძღვანელობას სოფელზე მოგვცემს კომუნისტების არა მაქსიმალური პროცენტი სასოფლო საბჭოებში, არამედ სწორედ **ეს კავშირი** კომუნისტებსა და უპარტიო გლეხობას შორის; პირველ რიგში მისი ნაკლებ შეძლებულ წრეებთან, ყოფილ წითელ-არმიელებთან, „კულტურულ გლეხებთან", ახალი ყოფა-ცხოვრების მომხრეებთან და სხ. ამოცანა მდგომარეობა იმაში, რომ მივიზიდოთ ნამდვილ საბჭოთა მუშაობისაკენ, **ჩავაბათ** მასში აქტიურ და საბჭოთა წყობილებისადმი მეგობრულად განწყობილ უპარტიო გლეხების ახალი ფენები. **ამაში**, და არა აუცილებლად კომუნისტების მიერ ყველა ადმინისტრატიულ თანამდებობის დაკავებაში, მდგომარეობს ჩვენი ამხანაგების მორიგი პრობლემა სოფლად".

ჩვენში ახლო მომავალში დაიწყება საბჭოთა არჩევნები. ზევით მოყვანილი სახელმძღვანელო აზრი, სახელდობრ—მეტი უპარტიო გლეხების გაყვანა საბჭოებში, განსაკუთრებით უნდა ჰქონდეთ მხედველობაში ჩვენი სოფლის პარტორგანიზაციებს და ცალკე ამხანაგებს. არავის ჩაეთვლება დამსახურებად, თუ საბჭოები თითქმის მარტო კომუნისტებით იქნებიან ავსებული. პირიქით, პარტიის გზის შეგნება და ნამდვილი დამსახურება ის იქნება, თუ ადგილობრივი ამხანაგები მოწინავე გლეხების მეტ რიცხვს გაიყვანენ საბჭოებში, ჩააბამენ მათ სოფლის აღმშენებლობაში და ამით უფრო მჭიდრო კავშირს შექმნიან პარტიასა და უპარტიო გლეხურ მასსას შორის.

მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკთა როლი საბჭოთა აღმშენებლობაში

ამხ. რიკოვის მოხსენება ინჟინერთა ყრილობაზე

„საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობის შექმნა"

მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მიღწევანი მშრომელი ხალხის საკუთრებაა.—ოქტომბრის გადატრიალება საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობის აქტია.—უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში ინტელიგენციის უმრავლესობამ მიიღო ეს აქტი.—ამჟამად ჩვენი ინტელიგენცია არის საბჭოთა ინტელიგენცია.—მეცნიერებას და ტეხნიკას ფართო გასაქანი ეძლევა საბჭოთა კავშირში.—საბჭოთა სახელმწიფო არის შრომის დიქტატურა.

საბჭოთა ხელისუფლება და მეცნიერების და ტეხნიკის მუშაკნი ერთად ხელიხელჩაკიდებული იმუშავებენ

მეცნიერების, ტეხნიკის დახმარებით ჩვენ დავიპყრობთ ბუნებას

არსებობის პირველ დღიდანვე საბჭოთა სახელმწიფომ თავის უმთავრეს ამოცანად დაისახა მეცნიერების და ტეხნიკის ყველა მიღწევები გაეხადა ხალხის კუთვნილებად. ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ამოცანად ითვლება სოციალისტურ საზოგადოების მოწყობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ მეურნეობის და საზოგადოების ისეთი ორგანიზაცია, ისე გავიმარჯვოთ ბუნების ძალებზე, სავსებით მოვსპოთ ყოველგვარი შიმშილი, გაჭირვება, უკულტურობა და ჩამორჩენილობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განთავისუფლებული იქნას ადამიანი. სოციალიზმი თავის თავად შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, თუ მეცნიერებას და ტეხნიკის ყველა მიღწევები გატარებული იქნება ცხოვრებაში, თუ მათ საფუძველზე მოვაწყობთ ჩვენს მრეწველობას, ჩვენს მიწათმოქმედებას — მთელ ჩვენ მეურნეობას. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი მაგალითი, როდესაც მეცნიერების და ტეხნიკის წინაშე დასმულიყოს ისეთი დიდი ამოცანები, როგორიც დააყენა საბჭოთა სახელმწიფომ.

ინტელიგენციის განვითარების შედეგები

ამას წინათ ჩვენ ვიდღესასწაულეთ ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავი. ჯამი გაუკეთეთ მიღწევებს ჩვენი მეურნეობის ყველა დარგებში და სახელმწიფოებრივ და კულტურულ აღმშენებლობაში. მე ვფიქრობ, რომ ეხლა შეიძლება მთავარი დასკვნები გაუკეთოთ ინტელიგენციის განვითარებას. ინტელიგენციაში მეცნიერებისა და ტეხნიკის დარგში მომუშავეებს უჭირავთ თვალსაჩინო ადგილი.

ჩაქუჩსა და გრდემლს შუა

ოქტომბერში ინტელიგენცია დაყენებული იყო პროლეტარულ დიქტატურის ჩაქუჩსა და ძველი რუსეთის გრდემლს შუა. ასეთ მდგომარეობაში მან, რა თქმა უნდა, განიცადა მნიშვნელოვანი გაჭირვება და მერყეობა. ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც მჭიდროთ იყო დაკავშირებული ძველ წყობილებასთან და ძველი საზოგადოების ბურჟუაზიულ [illegible], გაიხიზნა საზღვარგარეთ. ისტორიულად ეს აუცილებელი იყო. თუ არაფერს ვიტყვით ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც იყო ბურჟუაზიულ და მეფის რუსეთის იდეოლოგი და ამიტომ ოქტომბრის პირდაპირი მტერი, ინტელიგენციის ფართო მასებიც კი გამსჭვალული იყვნენ ძველი წესწყობილების იდეოლოგიით, და ამიტომ იგი დიდხანს ვერ გაერკვა ოქტომბრის გადატრიალების მნიშვნელობაში და არ იყო დარწმუნებული, რომ საბჭოთა სახელმწიფო დიდხანს იარსებებს.

[illegible]

და მხოლოდ კარგა დიდი ხნის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ოქტომბრის გადატრიალება არის ისტორიული მოვლენა, რასაც მოჰყვება დიდი შედეგები მთელი კაცობრიობისათვის. უკანასკნელ 2—3 წლის შემდეგ ინტელიგენციამ მიიღო ოქტომბერი, ინტელიგენციამ მასიურად აღიარა ოქტომბრის გადატრიალება და სავსებით შეუდგა საბჭოთა რეჟიმის სიმტკიცეს. ესევე ითქმის მეცნიერების და ტეხნიკის დარგში მომუშავეებზედაც.

ჩვენი ინტელიგენცია—საბჭოთა ინტელიგენციაა

ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა მუშებთან ერთად გადაიტანა ძალიან მძიმე წლები ფაბრიკა-ქარხნებში სამოქალაქო ომის და სამხედრო კომუნიზმის დროს. ამჟამად, როგორც საერთო წესი, ინტელიგენციას შეიძლება და კიდეც უნდა შევხედოთ, როგორც საბჭოთა ინტელიგენციას.

მეცნიერება და ტეხნიკა საბჭოთა მეურნეობის ორგანიზაციაში

ტეხნიკურ და მეცნიერულ განათლების საქმეს მთავრობა აძლევდა და აძლევს უდიდეს მნიშვნელობას. ვლადიმერ ილიჩი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა იმას, რომ სწორეთ მეცნიერები და ტეხნიკის დარგში მომუშავენი ჩაებან იმ სამეურნეო და ეკონომიურ მუშაობაში, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშეა დაყენებული, ტეხნიკის და მეცნიერების გამოყენებისათვის ოქტომბრის შემდეგი პერიოდის პირობებში გაცილებით მეტი შესაძლებლობა იყო, ვიდრე რომელიმე სხვა რეჟიმის დროს. ამის დადასტურება შეუძლია ყოველ ელექტროტეხნიკს და ყოველ სამთო-მადნო ინჟინერს. თანამედროვე პირობებში უფრო ადვილია გამოვიყენოთ მეცნიერება და ტეხნიკა უდიდეს სახელმწიფოში საზოგადოებრივ სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის დროს!

ახალი ინტელიგენცია მასებს უნდა დაუახლოვდეს

რათა სამეცნიერო მუშაკთა და ინჟინრების ამ პრაქტიკულმა მუშაობამ დადებითი შედეგები მოგვცეს, ამისათვის საჭიროა მეორე საკითხის გადაჭრა. რევოლიუციამდე ინტელიგენცია ცხოვრობდა კარჩაკეტილათ: არ ჰქონდა ფესვები გადგმული მუშურ-გლეხურ მასებში და მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა ჩვენ მოწინააღმდეგე ბანაკში. მე არ ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, ინტელიგენციის იმ ფენებზე, რომლებიც მთელ თავის ცოდნას სწირავდენ მეფისა და ბურჟუაზიის სამსახურს. ეს ფენები შეადგენდენ და შეადგენენ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკის უმნიშვნელო ნაწილს. თუ ამ კარჩაკეტილობას [illegible] რი [illegible] ინტელიგენციისათვის [illegible] ცია თავის [illegible] აღსადგენ[illegible] ჩაკეტილობას.

მუშათა საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა

ერთ-ერთ დაბრკოლებად წინსვლის გზაზე ითვლება ხალხის ფართო მასების ჩამორჩენილობა და უკულტურობა. მიუხედავათ ამ ჩამორჩენილობისა, კლასიური ალღო, დაინტერესება შრომის ნაყოფიერებით, მუშათა კლასის საერთო ინტერესები ყოველთვის სწორად სჭრიდენ სახელმწიფოს ორგანიზაციის საკითხებს. მუშათა საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს თანამედროვე შეწყობილების წინასწარ პირობას და საფუძველს. ამ საზოგადოებრივი აზრის შექმნაზეა დამოკიდებული ჩვენი მეურნეობის აღდგენა.

ინტელიგენციის სხვადასხვა წარმომადგენლები არაერთხელ სჩიოდენ, რომ ჩვენში საზოგადოებრიობა იღებს ამჟამად ისეთ ხასიათს, რომ მეცნიერს და ტეხნიკოსს არ აძლევს მუშაობის საშუალებას.

რა თქმა უნდა, მუშებს შორის მოიპოვებიან ჩამორჩენილი ელემენტები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრიობის საშუალებით ატარებენ ზოგჯერ თავიანთ ჩამორჩენილ შეხედულებებს. მაგრამ ჩვენ რომ შევძლებოდა ისეთი საზოგადოებრიობის მოწყობა, სადაც გლეხები და მუშები საკითხებს გადასჭრიდენ მეცნიერების, ტეხნიკის და პროგრესის ინტერესების მიხედვით, ჩვენ ძალიან სწრაფად წავიდოდით წინ.

საჭიროა ერთსულოვანი მუშაობა

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირი ხალხები ჯერ კიდევ სწავლობენ და ცალკე შემთხვევაში მუშები დაუშვებენ შეცდომებს, მაგრამ უაზრობა იქნებოდა გვეთქვა, რომ საჭიროს არ არის საზოგადოებრიობა. შეცდომები უნდა იქნას გამოსწორებული ამავე საზოგადოებრიობის საშუალებით. მუშათა ფართო მასები უნდა იქნან ჩაბმული მეურნეობის აღდგენაში. [illegible] ინტელიგენცია არ ჩამოშორდეს ხალხს, რათა მეცნიერების და ტეხნიკის ინტერესები დაუახლოვდეს ხალხს, უნდა შევხედოთ ხალხს, მუშებს და გლეხებს ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან და დავაკმაყოფილოთ მათი ლტოლვა ცოდნისაკენ თავის მეურნეობის და მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

შეცდომები არის, მაგრამ შეცდომები ორივე მხრივაა. ტეხნიკის და მეცნიერების ინტერესები, მეურნეობის აღდგენის ინტერესები დაკმაყოფილდება [illegible] იმ შემთხვევაში, რომ ყოველი ძალღონით იქნება განხორციელებული საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ტეხნიკური ცოდნა—საერთო სახალხო საქმეა

ტეხნიკურ ცოდნათა გავრცელება და მისი მეურნეობის განვითარებათვის გამოყენება უნდა იყოს საერთო სახალხო საქმე. საჭიროა, რათა ხალხმა იცოდეს, რომ მეცნიერების და ტეხნიკის დარგში მომუშავენი დიდ სამსახურს უწევენ მას თავის მეურნეობის მოწყობაში, ამისათვის საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრიობა. ჩვენს პირობებში სპეციალისტს უნდა ჰქონდეს სრული დამოუკიდებლობა მეცნიერების და ტეხნიკის საკითხებზე თავის აზრის გამოთქმის დროს, დაუშვებელია შიში იმისა, რომ ამ საკითხებში ჩამოვარდება განხეთქილება ადმინისტრაციასა და მუშებს შორის. ამ დარგში აზრის გამოთქმის სრული თავისუფლება უნდა იყოს სავალდებულო ყოველი სპეციალისტისათვის.

მეცნიერება და ტეხნიკა ჩვენი დასაყრდენია

7 წლის დამლევს ჩვენ გადავსწყვიტეთ ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრაში დიდ როლს თამაშობენ მეცნიერები, სპეციალისტები და ინჟინრები. მორიგ საკითხად დასმულია ძირითადი კაპიტალის აღდგენის, მეურნეობის რაციონალიზაციის და შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხები. ამ საკითხების მიზანშეწონილათ გადაჭრას ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მეცნიერულ და ტეხნიკურ ცოდნაზე დაყრდნობით ამიტომ ინჟინრების, ტეხნიკოსების და სპეციალისტების მნიშვნელობა ეხლა განსაკუთრებით დიდია.

ბოლოს, გამოვსთქვამთ რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მხარს დაუჭერენ ინტელიგენცია და მეცნიერების და ტეხნიკის დარგში მომუშავენი.

საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთი

მოსკოვი. 3 დეკემბერი. მოსკოვში ურთიერთ დამხმარე აღმოსავლეთის საზოგადოების გახსნას, რომელიც მოხდა 30 ნოემბერს, დაესწრენ საბჭოთა რუსეთის ფინსახკომის, სპარსეთის და ოსმალეთის საელჩოს, მოსკოვის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების და აღმოსავლეთის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭოთა რუსეთის ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსმა როდიონოვმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთის მჭიდრო ეკონომიური დაახლოვების აუცილებლობას, მან სთქვა, რომ აუცილებელია აღმოსავლეთის ვაჭრების თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მრეწველობასთან. ამიტომ ურთიერთ კრედიტის აღმოსავლეთის საზოგადოების შექმნას მოსკოვში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ნარიმან-ხან-აგაჯან-ხან ოღლიმ საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა ფინანსთა სახალხო კომისარს იმისათვის, რომ ის ასე დიდ ყურადღებას აქცევს ახალ საზოგადოებას და დაახასიათა საზოგადოების მთავარი მიზნები და ამოცანები.

საზოგადოების გამგეობის სახელით მან განაცხადა, რომ გამგეობა ყოველივე ძალ-ღონეს იხმარს საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთის ინტერესების დასაახლოვებლად და საზოგადოების კლიენტთა მოთხოვნილებების სავსებით დასაკმაყოფილებლად.

თეთრი ტერორი პოლონეთში

უკრაინელ სოციალ-დემოკრატების პროცესი.

ვარშავა. 3 დეკ. ლუცკში დაიწყო 21-ის უკრაინელი ს.-დ. პროცესი. მათ ბრალათ ედება ამჟამად უკვე დაშლილ უკრაინის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მონაწილეობა. მოწმეებად გამოძახებული არიან ამ პარტიის ყოფილი დეპუტატები—ეხლა უკვე სეიმის კომუნისტური ფრაქციის წევრები ვოიტიუკი, პიშჩიუკი და სხვები.

ლოძის ფეიქართა გაფიცვა.

ვარშავა. 3 დეკ. გრძელდება გაფიცვა ლოძში. დღეს წყდება გაფიცვისათვის თანაგრძნობის გამოცხადების საკითხი ელექტრონის სადგურის და წყალსადენის მუშებს შორის. ვარშავაში გაფიცვას შეუერთდა საქსოვი ფაბრიკა „ველია".

ცემა და წამება

ვარშავა. 3 დეკ. კომუნისტურმა კლუბმა შეიტანა შეკითხვა სეიმში პოლიციის მიერ განაპირა მხარეში ერთ-ერთ უკრაინელ დეპუტატის ვარენცის წამების შესახებ. ვარენცი, რომელიც აწამეს პოლიციელებმა, ჭკუაზე შეიშალა.

პროლეტარიატის მტრები

პარიზი. 3 დეკ. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ პროლეტარიატის მტრებად გამოაცხადა მონატი როსმერი და დელეგარდი.

მუსლიმანების პროტესტი

მოსკოვი. 3 დეკემბერი. ჩიჩერინმა მიიღო საბჭოთა კავშირის მუსლიმანებისაგან დეპეშა, რომელშიც ისინი პროტესტს აცხადებენ ინგლისის საქციელის წინააღმდეგ ეგვიპტეში. ამ დეპეშაში ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის მუსლიმანები დიდი აღშფოთებით თვალყურს ადევნებენ ინგლისის იმპერიალისტების მუხანათურ საქციელს ეგვიპტეს მშვიდობიანი ხალხის მიმართ. დეე იცოდენ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტებმა რომ შორს არის დრო, როცა აღმოსავლეთი ამხედრდება და დადგება სამაგიეროს გადახდის ჟამი".

პოლიტიკური პროცესები გერმანიაში

ბერლინი, 4 დეკემბ. ლეიპციგის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი იმ მუშების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ ფაშისტების მკვლელობაში ეგრეთ წოდებულ „გერმანიის დღეს" ჰალეში. ბრალდებულ გოლმანს მიუსაჯეს 5 წლის კატორღა, ბირიტს—4 წლის; დანარჩენებს ციხე 6-დან 11 თვემდე.

ბერლინი, 4 დეკემბ. ჰანოვერში ასამართლებენ მუშებს, რომელთაც აბრალებენ ფაშისტის მოკვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაშისტურ ახალგაზრდობაზე თავდასხმის დროს.

ბერლინი, 4 დეკემბერი კომუნისტების პროცესი ფრეიბურგში დამთავრდა. მთელ რიგ ბრალდებულებს მიუსაჯეს კატორღა.

საბოლოო სიტყვაში ერთ-ერთმა ბრალდებულმა გერმეტერმა სთქვა „სიამოვნებით ვსწირავ თავს კომუნიზმის გამარჯვების საქმეს".

ბრალდებულმა შტერნერმა განაცხადა: „ვიყავი და ვიქნები კომუნისტი. ციხეში შევალ კომუნისტად და ჩემი კამერიდან გამოვალ კომუნისტად. 8 წელს საკატორღო ციხის კედლებს შუა ყოფნა ძნელია, მაგრამ ავიტანთ. ჩვენ გავიმარჯვებთ".

ლანძერ ორთმა განაცხადა: „თქვენ გსურთ თქვენი სასჯელით ხელი შეუშალოთ რევოლიუციას, მაგრამ ის მაინც მოხდება, პროლეტარიატის ბრძოლა—საღვთო ბრძოლაა".

რემმელემ სთქვა: „მე, როგორც წინათ, ისე ეხლა მოხარული ვარ სიცოცხლე შევსწირო პროლეტარიატის საქმეს".

მუშა ფრიცმა განაცხადა: „მე არ ვიყავი კომუნისტი, როცა ციხეში მოვხვდი, მაგრამ იქიდან გამოვალ კომუნისტი"-ო.

ინგლის-გერმანიის ხელშეკრულება

ლოიდ-ჯორჯი.

ლონდონი. 3 დეკემბერი. 2 დეკემბერს შესდგა თემთა პალატის სხდომა. სპიკერათ (თავმჯდომარეთ) ხელახლა არჩეულ იქნა წინანდელი პალატის სპიკერი—უიტლი. ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციის ლიდერათ არჩეულია ლოიდ-ჯორჯი.

ინგლის-გერმანიის მოლაპარაკება.

ლონდონი. 3 დეკემბერი. ხელი მოაწერეს ინგლის-გერმანიის ხელშეკრულებაზე ვაჭრობის და ნაოსნობის შესახებ.

საბჭოთა მრეწველობა აღორძინების გზაზე

ამხ. ძერჟინსკის და ბოგდანოვის მოხსენებები

ჩვენი მრეწველობა და მეურნეობა დიდი წარმატებით ვითარდება

სამეურნეო ბალანსი მოგებას გვიჩვენებს.—ქვანახშირის ამოღება უდრის ომამდის არსებულ ნორმას.—ჩვენი ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებებს. ფასების დაკლების პოლიტიკა არის მუშაობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალება.—წარმატებით დამთავრდა შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანია.—ლითონის მრეწველობას დიდი ყურადღება ექცევა.—ჩვენს ამოცანას შეადგენს მეურნეობის რაციონალურად დაყენება.—

მუშაობის ინტენსივობა კიდევ უფრო უნდა ავსწიოთ

მრეწველობის სხვადასხვა ფორმა

მოსკოვი. 3 დეკ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში ამხ. ძერჟინსკიმ გააკეთა მოხსენება. მან განაცხადა, რომ „ჩვენი მრეწველობა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობა არაა ერთფეროვანი. კავშირის სხვადასხვა რაიონებში იგი იმყოფება განვითარების სხვადასხვა სტადიაში. ამიტომ მთელი მრეწველობის მართვა-გამგეობის ერთიან ფორმაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ხაზი კი უნდა იყოს ერთი და იგი განისაზღვრება ერთი მიზნით, რომელიც დასმულია საბჭოთა მრეწველობის წინაშე. ე. ი. ისეთი წეს წყობილების დამყარება, როდესაც აღარ იქნებიან კლასები და არ იქნება ექსპლოატაცია“.

წარმოების გაფართოება

ახასიათებს რა სახალხო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობას, ძერჟინსკი ამბობს, რომ 1923 წლის კრიზისმა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დააყენა პრობლემა მრეწველობის მთელ სახალხო მეურნეობასთან დაკავშირების შესახებ. ამ კრიზისის გადაწყვეტამ და ფასების დაწევამ შეჰქმნა ბაზა ფულის რეფორმის განსახორციელებლად. პროდუქციის გაიაფებამ ძალიან გააფართოვა წარმოება, რომელიც წარსული წლის განმავლობაში გაიზარდა 30 პროცენტით. გასულ ორი წლის განმავლობაში მრეწველობის ნაყოფიერება გაიზარდა 93 პროცენტით.

მოთხოვნილების ზრდა

შარშანდელ შემოდგომასთან შედარებით წელს შემოდგომაზე მოთხოვნილება ქალაქის ნაწარმოებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა და ჩვენი ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ მას სავსებით. ფასების დაკლებასთან ერთნაირ ტემპით არ ხდება თვით ღირებულების შემცირება და ტრესტებმა უნდა მიიღონ ზომები თვითღირებულების შესამცირებლად.

„ფასების დაკლების პოლიტიკა ითვლება ჩვენს ხელში მუშათა [illegible] გაუმჯობესების მძლავრ იარაღად.

ბრძოლა კერძო ბაზრის წინააღმდეგ

ვინაიდან მცხოვრებლები ზედმეტ ფასებს იხდიან კერძო მოვაჭრის სასარგებლოთ, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინაშე დასმულია ამოცანა, რაც შეიძლება მეტად გაივსოს საქონლით ბაზარი და გაფართოვდეს წარმოება. შინავაჭრობის სახ. კომისარიატმა კი უნდა გააძლიეროს მუშაობა წვრილმან ფასების მოსაწესრიგებლად. წარმოების გაფართოებას ხელს უშლის კაპიტალის სიმცირე და საბრუნავ საშუალებათა უქონლობა. მრეწველობას არ შეუძლია მიმართოს ემისიის გაფართოებას, რამდენადაც საწარმოო ძალთა ზრდის წინასწარ პირობად ითვლება ვალიუტის სიმტკიცის დაცვა. ეს მრეწველობის წინაშე აყენებს სავაჭრო ბრუნვაში დაბანდებულ თანხების განთავისუფლებას, ამ საშუალებით წარმოებაში დაბრუნებას და [illegible] დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხს.

საჭიროა იმპორტი საზღვარგარეთიდან

მცხოვრებთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობა საჭიროთ ხდის იმპორტის მოწყობას; შემოტანილი უნდა იქნას არა მარტო სამომხმარებლო საგნები, არამედ წარმოებისათვის საჭირო იარაღებიც. მტკიცეთ ვიცავთ რა კავშირს გლეხობასთან, ჩვენ არ უნდა შევაფერხოთ საქონლის შემოტანა იმ ფარგლებში, რომელშიაც ჩვენ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მთელი მოთხოვნილება.

ერთიანი გეგმა

მრეწველობის გაფართოების ერთიანი გეგმის შედგენა სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოაგვარებს ამ საქმეს ადგილობრივი მრეწველობა. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამ მუშაობასთან ერთად იხილავს საკრედიტო გეგმებს. ამავე დროს [illegible] ჩვენი მრეწველობის კონიუნქტურულ მიმოხილვის შესადგენად.

ლითონის მრეწველობა, დონის ნახშირი, საფეიქრო მრეწველობა

ეხება რა ლითონის მრეწველობას დონის ნახშირს და საფეიქრო მრეწველობას, ძერჟინსკი ამბობს: „ლითონის მრეწველობას ესაჭიროება დიდი თანხები. ამიტომ იგი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დარგი, საჭიროებს კრედიტებს და დოტაციებს. **ნახშირის მრეწველობა თავს დააღწევს კრიზისს, თუ ლითონის მრეწველობა თავის მოთხოვნილებით გამოიყვანს დონის ნახშირს ზედმეტი წარმოების მდგომარეობიდან, რაც დღეს ნახშირის მრეწველობას ახასიათებს.**

საფეიქრო წარმოება განსაზღვრავს ჩვენს კავშირს გლეხობასთან. სწორედ ამიტომ საფეიქრო მრეწველობას ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება“.

ძერჟინსკი ვრცლად ახასიათებს საფეიქრო მრეწველობის მთავარ მომენტებს ქსოვილებზე გაზრდილ მოთხოვნილების მიხედვით.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა

შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ ჩატარებული კამპანია წარმატებით დასრულდა და პროფკავშირთა 6-ე ყრილობის შემდეგ უკვე აღარ უპირდაპირდებიან სამეურნეო მუშაკები პროფესიონალისტებს. 8 საათის სამუშაო დღე სრული დატვირთვის ნორმად იქნა აღიარებული. მუშის პირად ინტენსივობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. ეჭვს გარეშეა რომ საერთო ინტენსივობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ზეაღმავალი ხაზით

ბოლოს ძერჟინსკი აღნიშნავს, რომ ჩვენ მივდივართ ზეაღმავალი ხაზით. ფასების დაკლების და წარმოების გაფართოების კამპანია სწორი აღმოჩნდა... მან მოგვცა ძალიან კარგი შედეგები. მომავალში ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა საბითუმო და საცალოვაჭრო ფასებს შორის განსხვავების შესამცირებლათ. ამასთანავე ჩვენს წინაშე სდგას როთული საკითხი პურის ფასების ზრდის შესახებ და ჩვენი ძირითადი კაპიტალის აღდგენის და განახლების პრობლემა. ჩვენ ეხლავე უნდა გავითვალისწინოთ მთავარი ხაზი, რომლითაც უნდა მივუძღვეთ ამ პრობლემის გადაწყვეტას და მტკიცეთ გავატაროთ ეს ხაზი, რათა არ ჩამოვრჩეთ ჩვენს საზღვარგარეთულ მეტოქეებს.

რეზოლიუცია

ამხ. ძერჟინსკის მოხსენების გამო

მოსკოვი, 3 დეკ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება საბჭ. კავშირის სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოსა და ადგილობრივ ორგანოების ხაზს შორის.

ძერჟინსკის მოხსენების თეზისები მიღებულ იქნა თათბირის მიერ და საფუძვლად დაედო სახ. მეურნეობის უმაღლ., საბჭოს მომავალ მოქმედებას.

მოსკოვი. 3 დეკემბერი. სრულიად რუსეთის ინჟინერთა ასოციაციის ყრილობის 3 დეკემბრის სხდომაზე საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბოგდანოვმა თავის მოხსენებაში სთქვა:

ჩვენი მეურნეობის განმტკიცება

„მიმდინარე წლის პირობებში ჩვენი სამეურნეო კონიუნქტურა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჩვენი სამეურნეო ბალანსი მომგებიანია. ჩვენმა მრეწველობამ დიდ წარმატებას მიაღწია

ქვანახშირის ამოღება წელს გაიზარდა შარშანდელთან შედარებით 30 პროც., რაც უდრის ომის წინა დროის ამოღების დონეს. ნავთის ამოღება გაიზარდა 12 პროც. და მიაღწია ომის წინა დროის ნორმის 65 პროც. ნავთის ექსპორტი ნორმალურად იზრდება და უახლოვდება ომამდე არსებულ ციფრს. დიდ წარმატებას მიაღწია ტორფის მრეწველობამ, წელს მისი რაოდენობა უდრის 165 მილიონ ფუთს. დიდი წარმატება ეტყობა ლითონის მრეწველობას. ბამბის მრეწველობამ მიაღწია ომის წინა დროის დამუშავების 6 პროც.. ხოლო ხელის მრეწველობამ მიაღწია 100 პროც. საერთოთ საფეიქრო მრეწველობა სრულ აღდგენას მიუახლოვდა. აღარ არის ნაკლულოვანება ნედლ მასალაში.

მრეწველობა მოგებას იძლევა

ადგილობრივი მრეწველობა ვითარდება უფრო ჩქარა, ვიდრე მსხვილი სახელმწ. მრეწველობა. რაოდენობის და ფასის მიხედვით მისი პროდუქცია უდრის სახელმწიფო მსხვილ მრეწველობის 1 მესამედს.

შინა-მრეწველობა აგრეთვე აღორძინების გზაზეა დამდგარი. მისი პროდუქციის ღირებულება უდრის 600 მილიონ მანეთს წელიწადში. იჯარით გაცემული მრეწველობა შეადგენს საერთო მრეწველობის მხოლოდ რამე პროცენტს. ხოლო კერძო მრეწველობა კი სულ 1 პროცენტს. საერთოთ ჩვენი მრეწველობა იძლევა მოგებას და ჩვენ მოგვეცა საშუალება განვვითარე[illegible] გან.

ინჟინრების როლი შრომის ნაყოფიერების ზრდაში

ეხება რა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხს ამხ. ბოგდანოვი აღნიშნავს, რომ ინჟინრების როლი ამ საქმეში დიდია. ინჟინრობას შეუძლია მოგვცეს რაციონალურ წარმოების გეგმა და მისი მეცნიერული შესწავლა. შრომის ნაყოფიერების ამოცანის გადაწყვეტა მდგომარეობს რაციონალურ წარმოებაში და ტექნიკის ზრდაში. ინჟინრები უნდა თამაშობდენ აქტიურ როლს საწარმოო თათბირებში. საშუალებათა დაგროვების პრობლემების გადაწყვეტის დროს, ინჟინრებმა აგრეთვე უნდა ითამაშონ უდიდესი როლი იმ მხრივ, რომ რაციონალურად გამოვიყენოთ ის, რაც გვაქვს.

მეცნიერება და შრომის კავშირი

ბოლოს ბოგდანოვმა განაცხადა, რომ იმისათვის, რათა ინჟინრების მუშაობამ მოგვცეს მაქსიმალური შედეგები, საჭიროა ინჟინრები გაეცნონ საზოგადოებრიობას, რომელიც ვითარდება ფაბრიკა-ქარხნებში. როდესაც მეცნიერების და ტექნიკის მუშაკთა და ფიზიკურ შრომის მუშათა შორის მოისპობა ზღუდე, მაშინ შეიქმნება წინასწარი პირობები ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის.

ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის გამგზავრება



Since coming to Georgia the British Delegation have been struck by the immense tasks the Workers Soviet has undertaken in the matter of the regeneration of Georgian Economy.

Hurrah for the [illegible]

A A Purcell

მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის დელეგაცია მოვიდა საქართველოში, გაოცებულია იმითი თუ საბჭოთა მუშებს როგორი დიდი ამოცანები შეუსრულებიათ საქართველოს ეკონომიურ და სამეურნეო აღორძინებაში.

ვაშა საქართველოს!

ა. ა. პერსელი.

უკანასკნელი საუბარი პერსელთან

3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე მთელი დელეგაციის შემადგენლობა მიწვეულ იყო მუშათა ცენტრალურ კლუბში მათთვის საგანგებოთ გამართულ ვახშამზე.

წინასწარათ იგინი შეიკრიბენ კლუბის საკითხველოში.

თერთმეტ საათზე უკვე მიემგზავრებიან საქართველოდან. მაშ შეიძლება გამოსთქვან თავიანთი უკანასკნელი შთაბეჭდილება, რაც კი იხილეს თბილისში ყოფნისას.

სწორეთ, ამ მოსაზრებით მივმართე დელეგაციის თავმჯდომარეს—პერსელს.

— მართალია თქვენ დაუღალავი ბრძანდებით. სხვადასხვა კორესპონდენტებმაც ალბათ ბევრი მოგაბეზრეს. მაგრამ რა ვქნათ! ასეთ შემთხვევაში ასეთი თავის გაბეზრებაც გასაგებია, მე მგონი, ევროპიელი კაცისთვის.

— მე მზათა ვარ გემსახუროთ.

— მანამ საქართველოს დასტოვებდეთ, გთხოვთ საქართველოს ცენტრალურ ორგანო „კომუნისტისთვის“ გადმომცეთ უკანასკნელი თქვენი შთაბეჭდილება, რომ შემდეგ გავუზიაროთ იგი ჩვენს მკითხველებს.

— ჩემი შთაბეჭდილება **აჭარბებს ყოველგვარ ჩემს მოლოდინს.** რაც დღეს თბილისის მუშების დემონსტრაციაზე შთაბეჭდილება მივიღეთ, განა შეიძლება მისი სავსებით გადმოცემა!

ასეთ რევოლიუციონურ დისციპლინაში გატარებული მუშათა რაზმები რომ მოგვცა ინგლისში, მაშინ ადგილი აღარ ექნებოდა ბურჟუაზიის ისეთ სითამამეს და თავგასულობას, რაც ჩვენ ვიხილეთ უკანასკნელ არჩევნების დროს.

რაც უნდა შორს წავიდე საქართველოდან მაინც არას დროს არ დამავიწყდება ის [illegible] დემონსტრაცია თბილისელ მუშებისა, რომელსაც დღეს ჩემის თვალით ვუცქეროდი სამი საათის განმავლობაში.

იმათი გაზეთილი ტანისამოსი და ძარღვიანი ხელები იმტკიცებენ მათ შრომის მოყვარეობას და იმათი სახე კი გამოხატავს მათ რევოლიუციონურ რწმენას.

რას ვიფიქრებდით, თუ სადღაც შორს საქართველოში ასეთი **გაწვრთნილი რევოლიუციონური მუშათა კლასი არსებობს!**

თქვენი უთვალავი დროშები კონტრ-რევოლიუციის უმძიმეს არტილერიასაც კი გაუძლებს.

მართლაც, იმდენი წითელი დროშები გქონიათ, რომ მთელ ქვეყნიერებას ეყოფა იგი რევოლიუციაში.

გადაეცით მთელ მშრომელ საქართველოს ჩვენი დელეგაციის **ულრმესი მადლობა.**

მრავალ სიამოვნებასთან ერთად ჩვენ წაგვყვება წუხილი, რომ მეტ ხანს ვერ დავრჩით აქა და ვერა ვნახეთ საქართველოს სხვა კუთხეებიც.

საქართველო მართლა ღირსი ყოფილა უფრო ერთგული გაცნობისა.

რომ ჩავალთ ინგლისში, როგორც მოსვლისას გითხარით, ვეცდებით გავაცნოთ აქაური მდგომარეობა ინგლისის მუშათა კლასს კონფერენციებზე, მიტინგებზე, მოხსენებებზე და **გავფანტოთ ის სიყალბენი,** რომელთაც კიდევ ერთგვარი გავლენა აქვთ ჩვენში.

კიდევ მიიღეთ ჩემი მადლობა!

განახლებული, რევოლიუციური საქართველო დაუვიწყარი იქნება ჩემთვის და მთელი დელეგაციისთვისაც.

ჯონ ბრომლეი

ბავშვივით მუდამ მოღიმარე და გულკეთილი ჯონ ბრომლეი იქვე დატრიალობს, ყურს უგდებს პერსელის სიტყვებს და თავის კანტურით [illegible]

მე მაინც ვეკითხები საგანგებოთ მასაც:

— ამხანაგო ბრომლეი! გაგვიზიარეთ თქვენი უკანასკნელი შთაბეჭდილება ერთი-ორი სიტყვით.

— ო, ჩემი შთაბეჭდილება დიდია! ორ სიტყვაში ვერ დავტევ.

— მაინც!

— თქვენ იყავით დღევანდელ დემონსტრაციაზე?

— დიახ, ვიყავი!

— უცქეროდით, როგორ ყვიროდა ხალხი?

— ვუცქეროდი!

— [illegible], როგორ ვყვიროდი [illegible]

— დიახ!

— მაშ გინახავთ ჩემი შთაბეჭდილებაც.

— მე ვყვიროდი გულით, რაც შემეძლო და ვუკრავდი ტაშს, რაც შემეძლო. ასეთი ვუზიარებდი ჩემ მეგობრულ შთაბეჭდილებას იმ დემონსტრატ მუშებს, რომლებიც არ დამავიწყდებიან არას დროს.

უკანასკნელათ გადაეცით ჩემი სალამი და მადლობაც

ბენ ტილეტი

— ამხანაგო ტილეტ, თქვენ რაღას იტყვით?

— მე დღეს ვნახე ნამდვილათ, **თუ რასა ნიშნავს პროლეტარული სახელმწიფო!**

გადაეცით ჩემი აღფრთოვანება და მადლობა საქართველოს მუშა და გლეხებს.

შემდეგ დელეგატები მიბრძანდნენ სავახშმოთ და ჩვენი უკანასკნელი ბაასიც დამთავრდა.

მოამბე.

დელეგატების გაცილება

წუხელ ღამის 11 ნახ. საათზე მოსკოვის მატარებლით გაემგზავრენ ჩვენი სტუმრები, ინგლისის ტრედ-უნიონების დელეგატები.

ვოგზლის პერონი სავსეა მთავრობის და პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებით.

ახლოვდება ჟამი „განშორებისა“!

დაჰკრეს პირველი ზარი...

საზოგადოება შეჩოჩქოლდა, ნერვიულობა დაეტყო სახეს; ეძნელება გაშორება ძვირფას სტუმრებს, ვაგონის კარებში გამოჩნდა ამხ. პერსელი წითელ ხალათში.

„ურა“—გაისმა ერთბაშად ხმა და საზოგადოებამ მიიწია მისკენ: სტაცეს მას ხელი და რამოდენიმე წუთს ერთსულოვან „ურას“ და „ვაშას“ ძახილში იგი ჰაერში ქანაობდა.

დაიწყო გამოსალმება, ლოზუნგი ლოზუნგს სცვლის „ვაშა“ და „ურა“ ბოლო არ უჩანს სტუმრებსაც უსწავლიათ ქართული.

„გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“.

„გაუმარჯოს წითელ არმიას“—„ვაშა“ ამხანაგებ[illegible] ხალ[illegible]

„ვაშამ“ და ინტერნაციონალმა დაფარა მათი ხმა.

— მეორე ზარი...

„გაუმარჯოს ინგლისის წითელ არმიას“ გაისმა ამხ. ორჯონიკიძის ძლიერი ხმა, რომელმაც დიდი ეფექტი მოახდინა.

„ვაშამ“, „ურამ“ და ინტერნაციონალმა დაფარა მისი ხმა.

— მესამე ზარი...

„ვაშა“-ს ძახილში ქუდები ჰაერში ფრიალებენ.

— მატარებელი იძვრის...

„გადაეცით ჩვენი პროლეტარული სალამი ინგლისის მუშებს“—აბარებენ ჩვენი ამხანაგები სტუმრებს.

ინტერნაციონალი გრიალებს, ქუდები ზევა ჰაერში სცურავს.

ასეთის ზეიმით და ტრიუმფით გააცილა საქართველოს პროლეტარიატმა ინგლისის პროლეტარიატის წარმომადგენლები.

ამ—ელი.

დელეგატები ზემო-ავჭალაში

ინგლისელი დელეგატები პერსელი, ბენტილეტი და ფინდლეი ესტუმრენ აგრეთვე ზემოავჭალის მუშებს და დაათვალიერეს შესრულებული სამუშაოები. დელეგატებს ახლდენ ამხ. ყურულაშვილი, სემკოვი, არჩ. მიქაძე და ლ. სუხიშვილი.

დელეგატებს მუშები დიდი აღფრთოვანებით შეეგებენ.

დელეგაციას მიესალმა ინჟ. ქიქინაძე, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ზემოავჭალის სადგურზე მომუშავეთა ერთად-ერთი წადილი ააღორძინონ და გაამაგრონ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება.

შემდეგ დელეგაცია შეუდგა მთავარ შესრულებულ სამუშაოთა დათვალიერებას, რომლის დროსაც დელეგატებს ახსნა-განმარტებას აძლევდენ ადგილობრივი მომუშავე ამხანაგები.

დელეგატთაგან სიტყვა წარმოთქვა ამხ. პერსელმა, რომელმაც გადასცა რა სალამი ზემოავჭალის მუშებს ინგლისის პროლეტარიატის სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის განუზომელ სივრცეზე ისინი შეხვდენ პროლეტარიატის თავდაუზოგველ მშენებლობით მუშაობას თავისი ქვეყნის ეკონომიურად გასამაგრებლად.

მეორე დღეს 12 საათზე ზემოავჭალაში ჭიათურიდან [illegible] დელეგაციის წევრმა ამხ. სმიტმა, რომელსაც მუშები შეეგებენ მხურვალე ოვაციებით.

ამხ. სმიტს მუშების სახელით მიესალმა რამოდენიმე მუშა. საპასუხო სიტყვაში ამხ. სმიტმა განაცხადა, რომ ყოველ ნაბიჯზე იგი ხედავს პროლეტარიატის დაუზოგავ მუშაობას მეურნეობის აღორძინებლათ და განავითარებლად.

— ყოველივეს, ჩემ მიერ ნახულს და გაგონილს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატზე მე გადავცემ დიდი ბრიტანეთის მუშებს, მათვე გადავცემ სალამს თქვენი სახელით.

ამხ. სმიტმა დაათვალიერა ნაშენი ადგილები, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა თბილისში.

ზემოავჭალის მუშების მისალმება

ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის თავმჯდომარეს ამხ. პერსელს ზემო-ავჭალის მუშებმა შემდეგი მისასალმებელი ბარათი გადასცეს:

„ძვირფასო პერსელ! ნება მომეცით საბჭოთა საქართველოს საამშენებლო დარგის მუშების პროფკავშირის 2.500 წევრების სახელით, რომლებიც აქ მუშაობენ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგებაზე, მოგესალმოთ თქვენ.

ამხ. პერსელ! გართმევთ ჩვენს პროლეტარულ დაკოჟრილ ხელს და ვუსურვებთ ინგლისის მუშებს ინგლისის პროლეტარიატის ბელადის სახით, რომ მათ ჩქარა დაიმარცხებინოთ ინგლისის ლორდები და ბურჟუაზია; ძველი ბურჟუაზიული მსოფლიო იშლება, იქმნება ახალი პროლეტარული მსოფლიო და ჩვენ ორიათასხუთასი მუშა—ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლები, ვქმნით ელექტროფიკაციის ახალი [illegible] და დემოკრატიული რუსეთისა და საქართველოსათვის.

თქვენ იცნობდით მეფის რუსეთს, თქვენ იცნობდით „დემოკრატიულ“ რუსეთს და საქართველოს, თქვენ ხედავთ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარულ კავშირს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ხედავთ, თუ როგორ გმირულად ვიბრძვით და ვიმარჯვებთ ჩვენი დანგრეული მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ამხ. პერსელ! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დაახლოვება იქნება თავდები მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა.

გადაეცით მხურვალე პროლეტარული სალამი ინგლისის პროლეტარიატს და უთხარით, რომ საბჭოთა საქართველოს საამშენებლო მრეწველობის მუშები მუდამ თანაგრძნობენ ინგლისელ ამხანაგებს და მზად არიან პირველი დაძახილისთანავე გაუწოდოთ ინგლისელ ამხანაგებს ძმური, ამხანაგური ხელი.

გაუმარჯოს ინგლისის და საბჭოთა კავშირის შეკავშირებულ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს პროლეტ[illegible] მთელ[illegible]

გაუმარჯოს მსოფლიო [illegible] რევოლიუციას!

„ზაჰესი“-ის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე საქართველოს საამშენებლო დარგის მუშათა კავშირის გამგეობის წევრი შიშინაშვილი.

ბანკეტი დელეგაციის პატივსაცემლად

3 დეკემბერს საღამოს 8 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიმართა ბანკეტი ტრედ-იუნიონის დელეგაციის პატივსაცემად. ბანკეტს დაესწრენ დელეგაცია სრული შემადგენლობით, საქართველოს პროფსაბჭოს, საქ. ცენტრ. კომიტეტების წარმომადგენლები და პროფკავშირთა ცენტრ. გამგეობათა მდივნები და სხ.

სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, ჯონ ბრომლეიმ, პერსელმა და ყურულაშვილმა. ამხ. ყურულაშვილმა საქართველოს მუშების სახელით დელეგაციის თითოეულ წევრს გადასცა თითო-თითო მოოქრული ყანწი და ხანჯალი ქართული ქამრით. დელეგატებმა მოირტყეს ხანჯლიანი ქამარი და აღუთქვეს მასპინძლებს, რომ ამ იარაღით ისინი მოახდენენ „უსისხლო“ რევოლიუციას. საერთოდ ბანკეტი დიდი მხიარულებით ჩატარდა.

ბანკეტს შემდეგ ინგლისელი სტუმრები გააცილეს სადგურამდე.

სასოფ.-სამ. კრედიტი და მისი ორგანიზაციული ფორმები

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საკითხის გარშემო დიდი ხანია სწარმოებს კამათი და ამ საკითხმა დიდი ხანია უკვე განსაზღვრული გადაწყვეტილება მიიღო უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში,—ჩვენი სამეურნეო მუშაკების ზოგიერთ წრეებში, განსაკუთრებით კი კოოპერატიულ მუშაკებში, როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო კოოპერაციის მუშაკთა შორის ამ საკითხს აქამდი კრიტიკულათ უყურებენ და მის წინააღმდეგ „იერიშები“ მიაქვთ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სასოფლო-სამეურნეო კრედიტზე, ის უნდა გავიგოთ არა როგორც კომერციული კრედიტი, არამედ ისეთი კრედიტი, რომელიც უნდა მივცეთ საგლეხო მეურნეობას მისი საწარმოო საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ. ასეთი კრედიტის საჭიროება დიდია, საჭიროა დიდი თანხები რომელთა შექმნა იმ გლეხების საწევრო გადასახადებით, რომლებსაც კრედიტი სჭირდებათ, შეუძლებელია. გლეხს, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია მოკლე დროით შეინახოს მეტად მცირე თავისუფალი თანხები, რაც დამოკიდებულია მისი მეურნეობის სასეზონო პერიოდისაგან, მაგრამ მას თავისი მეურნეობის აღსადგენათ და წინ წასაწევათ ესაჭიროება უფრო გრძელვადიანი კრედიტი. ასეთი კრედიტის მისაცემათ საჭირო თანხები კი შეიძლება მიღებული იქნეს, უმთავრესად, სახელმწიფო წყაროებიდან.

იმისათვის, რომ ყოველგვარ კრედიტის გახსნას და ფინანსების მიწოდებას გეგმაშეწონილი ხასიათი ჰქონდეს, იმისათვის, რომ იგი მიზანშეწონილათ და ნაყოფიერათ ტარდებოდეს, იმისათვის, რომ მას ჰქონდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა—შექმნილია სათანადო საკრედიტო დაწესებულებები, კერძოთ კი სოფლის-მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების მიზნით [illegible] სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლ. იანვარში საბჭოთა კავშირის საბჭოების მე-2 ყრილობამ დაადგინა:

„1) სოფლის მეურნეობის აღდგენისათვის გეგმაშეწონილი ხელის შეწყობის მიზნით, მისთვის საკრედიტო დახმარების გაწევის გზით, და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის შემოღების მიზნით დაარსებული იქნეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

2) ცენტრალურმა სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ყველა თავისი ოპერაციები, გარდა საერთო საკავშირო მნიშვნელობის ოპერაციებისა, უნდა აწარმოოს საკავშირო რესპუბლიკების ბანკების და სასოფლო სამეურნეო კრედიტის ადგილობრივ საზოგადოებების საშუალებით, ამასთანავე [illegible] არ უნდა გახსნას საკუთარი განყოფილებები, კანტორები და სხვა.

3) კრედიტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს გლეხობამდი, თუ საბჭოთა კავშირის მთელი ტერიტორია მოფენილი იქნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერატივების, მათი კავშირების და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქვედა საფეხურის უჯრედებით“.

ცოტათი უფრო ადრე, სახელდობრ 1923 წლის 24 დეკემბერს რ. კ. პ. ცკ-მ სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებულ ეკონომიურ პოლიტიკის მორიგი ამოცანების საკითხის შესახებ მიიღო რეზოლიუცია, რომლის მე-5 მუხლში აუცილებლათ ითვლის „სასწრაფო ზომების მიღებას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განსავითარებლათ ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის და ქვედა საფეხურის საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით“.

პარტიის მე-13 ყრილობამ კოოპერაციის შესახებ, კერძოთ კი სასოფლო კოოპერაციის შესახებ მიიღო შე[illegible]

„თავდაპირველათ გლეხები შეკავშირებული უნდა იქნენ როგორც მომხმარებლები და როგორც მწარმოებლები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი გაერთიანების შესახებ; ამასთანავე დაწვრილებით შესწავლილი უნდა იქნეს გამოცდილება ინტეგრაციის, რომელსაც აქამდე ჰქონდა ადგილი.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საწარმოო-გამსაღებელ გაერთიანებების განვითარებას, რომლებიც ეხლა აწყობიან და სოფლის მეურნეობის საარტელო და კოლექტიურ ფორმების მოწყობას; ამასთანავე ამ მეურნეობების მონაწილეთა წასაქეზებლათ გამონახული უნდა იქნეს ყოველგვარი პრემიები და შეღავათები; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე **სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის განვითარებას, როგორც კოოპერაციის ყველაზე უფრო მასიურ და უდიდესი მნიშვნელობის ფორმას,** რომელსაც შეუძლია კოოპერაციის მუშაობაში ჩააბას გლეხობის ყველაზე უფრო ფართო ფენები და უშუალოთ დააკმაყოფილოს გლეხთა მეურნეობების მრავალფეროვანი საწარმოო საჭიროებანი“.

მიმდინარე წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიამ სრულიად ნათლათ და გარკვევით ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებების საორგანიზაციო ფორმები ამიერ-კავკასიაში.

სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების შესახებ მან დაადგინა:

„1. იმისათვის, რომ ფართოთ განხორციელებული იქნეს გლეხებისათვის კრედიტის მიწოდება, რომ საკრედიტო დაწესებულებები და კრედიტი დაუახლოვდეს გლეხს და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფეროში ჩაბმული იქნეს გლეხთა ფართო მასების ყველა თავისუფალი თანხები,—სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებმა ხელი უნდა შეუწყონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების შექმნას.

2. საკრედიტო ამხანაგობების ძირითადი კაპიტალები უნდა შესდგეს ამხანაგობის წევრების საპაიო გადასახადებისაგან და მათ მიერ განაღდებულ გლეხთა საპაიო გადასახადებისაგან, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებმა უნდა შეიტანონ საკრედიტო ამხანაგობების ძირითად კაპიტალში.

3. საკრედიტო ამხანაგობები თავისი ოპერატიული მოღვაწეობის დროს ემორჩილებიან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებს“.

როგორ უდგება საბჭოთა ხელისუფლება და პარტია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მოწყობის საკითხს? საბჭოთა ხელისუფლება და პარტია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემას უყურებს, როგორც დამოუკიდებელ საკრედიტო ორგანიზაციას. სხვანაირათ არც შეიძლება. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ კოოპერაციის უნივერსალურმა ტიპმა, ე. ი. ერთი კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ სამეურნეო მუშაობის ყველა ფუნქციების. მათ რიცხვში საკრედიტო კოოპერაციის ფუნქციების, მითვისებამ ჩვენ არავითარი სარგებლობა არ მოგვიტანა.

ის დაბრკოლებები და მუშაობის შეჩერება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს კოოპერაციაში, აიხსნება, უმთავრესად, იმით, რომ მას სურს სხვისი ფუნქციების მითვისება და ის გატაცებულია არა თავისი საქმით.

იმ დროს, როდესაც სამომხმარებლო კოოპერაცია იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ დააკმაყოფილოს გლეხი მოხმარების აუცილებელი საგნებით, ის აწყობს სხვადასხვაგვარ სახერგებს, ფერმებს და სხვა და ამისთვის საჭირო თანხებს ის იღებს თავისი სავაჭრო ბრუნვიდან და სახიფათო მდგომარეობაში აგდებს მათ; ამ რისკში მონაწილეობას იღებენ ის თანხებიც, რომლებიც კოოპერატიული ბანკების განყოფილებების მიერ შეგროვებულია მოსახლეობის შორის წვრილ-წვრილი ანაბარების სახით. ფუნქციების ასეთივე შერევას ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაშიაც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იმის მაგიერათ, რომ მთავარი ყურადღება მიაქციონ გლეხების შეკავშირებას საწარმოო საფუძვლებზე, იმის მაგიერად, რომ დაეხმარონ გლეხებს, რათა მათ გაუმჯობესებულ საშუალებებით დაამუშაონ მიწები, რომ იქიდან დიდის რაოდენობით მიღებული იქნეს საუკეთესო ღირსების პროდუქცია, იმის მაგიერათ, რომ დაეხმარონ გლეხებს ხელსაყრელ პირობებში გაასაღონ თავისი შრომის პროდუქტები, ხსნიან სავაჭროებს და ის თანხები, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის უნდა იყოს გადადებული, სავაჭრო ოპერაციებს ხმარდება.

თვითეულ აქ აღნიშნულ დარგში—აურებელი სამუშაო გვაქვს.

ამ მუშაობამ რომ თავის მიზანს მიაღწიოს, იმისათვის საჭიროა, რომ თვითეული ამ დარგის საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნეს მთლიანათ და გეგმაშეწონილათ, მათ უნდა მიეცეს ყველა საჭირო თანხები.

ჩვენმა ამიერ-კავკასიის სინამდვილემ შეიმუშავა კოოპერაციის სამი ფორმა: სამომხმარებლო, საწარმოო და საკრედიტო კოოპერაცია.

კოოპერაციის თვითეულმა ამ დარგმა თავის ძირითად ამოცანათ უნდა დაისახოს **მუშაობა თავისი ხაზის მიხედვით.**

შეიძლება თუ არა კოოპერაციის ამ დარგების გაერთიანება? რასაკვირველია, არა. მაგრამ თვითეულ ამ დარგს შეუძლია შეერთდეს მეორეს, როდესაც ეს საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულად იქნეს განხორციელებული დასახული მიზნები. ის ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ გაერთიანება—არის მასა, ამ შემთხვევაში გლეხობა. გლეხებისათვის კრედიტის მიწოდება, როდესაც დამოუკიდებელ საკრედიტო სისტემისათვის არ არის სათანადო პირობები (ამა თუ იმ რაიონის მოსახლეობის სიღარიბე, როდესაც შეუძლებელია სათანადო პირობების შექმნა მეურნეობის ინტენსიური წარმოებისთვის, მუშაკების უქონლობა) და თავისი ფუნქციების განხორციელება საკრედიტო სისტემას შეუძლია დააკისროს კოოპერაციის სხვა რომელიმე ფორმას, რომელიც ადგილობრივ არსებობს; ამ შემთხვევაში საკრედიტო ფუნქციებს კოოპერაციის ეს ფორმა ასრულებს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო დაწესებულებების დავალებით და მათი კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ.

ასეთივე წესით საწარმოო კოოპერაციას თავისი ამოცანების განხორციელება შეუძლია სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით იქ, სადაც ამას მოითხოვენ აუცილებლობა და კოოპერაციის განვითარების პირობები.

საკრედიტო სისტემას თავის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ყოველთვის და ყველგან არ აქვს ისეთი საამშენებლო ფორმა, როგორც სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

თუ სამომხმარებლო და საწარმოო კოოპერაციის მშენებლობა ხდება ქვევიდან ზევით ერთი პრინციპის მიხედვით და თუ მათი გაერთიანებების ქსელის გაერთიანება შეიძლება არა მარტო რესპუბლიკანური მასშტაბით, არამედ საკავშირო მასშტაბითაც, საკრედიტო სისტემას თავისი ქვედა საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციების გაერთიანება შეუძლია დაუშვას მხოლოდ თავისი სამოქმედო რაიონის ფარგლებში, და არა უფრო შორს. პირველი საფეხურის საკრედიტო უჯრედების ამ გაერთიანებების იქით იწყება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების მწყობრი საბანკო სისტემა, რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები და ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი.

სახელმწიფო თავის ფინანსურ და საკრედიტო პოლიტიკას ატარებს საბანკო სისტემის საშუალებით: იმ სფეროში, რომელიც შეეხება საბანკო სისტემის და სახალხო მეურნეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას—სახელმწიფო ბანკის საშუალებით, საგარეო ვაჭრობის სფეროში—საგარეო ვაჭრობის ბანკის საშუალებით, მრეწველობის სფეროში—სამრეწველო ბანკის საშუალებით, სოფლის მეურნეობის სფეროში—სასოფლო-სამეურნეო ბანკების საშუალებით და სხვა.

საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკის გატარებლებათ სოფლად ითვლებიან სასოფლო-სამეურნეო ბანკები, ამიტომ ისინი მოწყობილი ვერ იქნებიან კოოპერაციის თეორიის მიხედვით, ე. ი. ქვედა საფეხურის უჯრედებიდან. საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკა ერთერთი მნიშვნელოვანი რგოლია ეკონომიური პოლიტიკის ჯაჭვში. მას აქვს ზედმიწევნით გეგმაშეწონილი ხასიათი, ის საუკეთესო მიმართულებას აძლევს არსებულ თანხებს, მოითხოვს საკრედიტო დისციპლინის დაცვას და ვინაიდან ეს ასე, ამიტომ მთელი საკრედიტო სისტემისათვის თვალყურის დევნება და კონტროლის გაწევა შეადგენს სახელმწიფოს უფლებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თანხები საკრედიტო სისტემაში გაგზავნილია, უმთავრესათ, სახელმწიფო წყაროებიდან.

ეს უფლება სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების და კრედიტების მიწოდების სფეროში ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საშუალებით.

სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების საქმეში თვითეულ კაპიკს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა; ის ძირიათ განსხვავდება კომერციული კრედიტისაგან, რომელიც სესხად იღებს ანდა ბანკის კლიენტს შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით გამოიყენოს. ამას გარდა, არ უნდა დაივიწყოთ, **რომ** საკრედიტო ამხანაგობების განვითარების და განმტკიცების საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ თვით მოსახლეობის ანაბარებმა. ეს ანაბარები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ყოველგვარი რისკისაგან, ყოველგვარ შემთხვევით მოვლენებისაგან. ამ ანაბარების გამოყენება კოოპერაციის სავაჭრო ან და სხვა რომელიმე ოპერაციებში დაკავშირებულია დიდ რისკთან, ამიტომ მოსახლეობა მათ ჩააბარებს მხოლოდ ისეთ საკრედიტო სისტემას, რომელშიაც ანაბარების ხელშეუხებლობა [illegible] უზრუნველყოფილია ცენტრშიც და ქვედა საფეხურის ორგანიზაციებშიც.

კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების მინიჭება საფინანსო და საკრედიტო სფეროში—ნიშნავს გეგმაშეწონილობის და სახელმწიფოებრივ მოწესრიგების დარღვევას.

აუცილებლათ არის თუ არა ცნობილი ფართო მასების ინიციატივა და თვითმოქმედება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფეროში? ის უდიდესი და ძნელი ამოცანა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება სრულათ იქნეს დაკმაყოფილებული გლეხთა მოსახლეობის საჭიროებები, შეიძლება წარმატებით განხორციელებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხობის ფართო მასები გამოიჩენენ ინიციატივას და თვითმოქმედებას. ამ ინიციატივას და თვითმოქმედებას გლეხობა ახორციელებს თავისი მონაწილეობით არა მარტო ქვედა საფეხურის უჯრედებში, ე. ი. იქ, სადაც ის უშუალოთ ღებულობს კრედიტს, არამედ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებებშიც.

ა. ჩხენკელი.

უკანასკნელი ცნობები

ფაშისტების „თანაგრძნობა"

რიგა. 4 დეკემბერი. გუშინ ნაციონალისტებმა ესტონეთის მთავრობისადმი თანაგრძნობის ნიშნად რიგაში დემონსტრაცია მოაწყვეს. ახალგაზრდა ფაშისტების ჯგუფი გაემართა მემარცხენე მუშური გაზეთის „ლაივმეტ"-ის რედაქციისაკენ, სადაც ჩაამტვრიეს ფანჯრები. რედაქციაში ესროლეს ბომბა. დღეს პოლიციამ დაკეტა რედაქციის შენობა. ბომბა ესროლეს პროფკავშირთა ბიუროს შენობასაც და გაზ. „სოციალ-დემოკრატის" რედაქციასაც.

სადოლი საფრანგეთში

პარიზი. 4 დეკემბერი. ცნობილი ფრანგი კომუნისტი ჟაკ სადოლი შევიდა საფრანგეთში ბელგიის საზღვრებიდან. პოლიცია ამათ დაეძებს მას.

მდგომარეობა ჩინეთში

მოსკოვი, 4 დეკემ. სამშაბათს ღამით ჩჟან-ცზო-ლინმა დასტოვა პეკინი.

ჩჟან-ცზო-ლინი უკმაყოფილოა იმით, რომ მთელი მთავრობა შესდგება დუან-ჩუი-ჟუის მომხრეებისგან.

გენერალი იუნ-ი-ტინ-, ჩჟან-ცზო-ლინის შტაბის უფროსი ოფიციალურად რჩება პეკინში. მოელიან, რომ ახლო ხანში ჩჟან-ცზო-ლინის არმია გამოყვანილი იქნება პეკინიდან.

საზოგადოებრივ წრეებში ფიქრობენ, რომ მისი წასვლა პეკინიდან არ ნიშნავს უთანხმოების ჩამოვარდნას მასა და ცენტრალურ მთავრობას შორის.

სასამართლოს განკარგულებით, პოლიციას უნდა დაეპატიმრებია პარლამენტის 78 წევრი, რომლებსაც ბრალად ედება ქრთამის მიცემა პრეზიდენტის არჩევნების დროს შარშან.

ორივე პალატამ შესწყვიტა მუშაობა. ვინაიდან პეკინში შეუძლებელი გახდა მუშაობა, პალატისა და სენატის წევრები გაემგზავრენ ტიან-ცზინში.

პოლიციამ ვერ მოახერხა ვერავისი დაპატიმრება, რადგან დეპუტატების ნაწილმა თავი შეაფარა დიპლომატების უბანს, ნაწილმა კი ტიან-ცზინში მოასწრო გაქცევა.

დამალულების ბინაზე იპოვეს მრავალი საბუთები, რომლებიც ააშკარავებენ მრავალი პოლიტიკური მოღვაწეების და მათ შორის ველინგტონ კუს ბოროტმოქმედებას.

სუნ-იატსენს ხუთშაბათს მოელიან ტიან-ცზინში, სადაც მას სახეიმო შეხვედრას უმზადებენ. პრეზიდენტი სპეციალურ წარმომადგენლებს გზავნის მის შესახვედრად.

დადის ხმები, რომ უ-პეი-ფუს სურს შერიგება ცენტრალურ მთავრობასთან.

სკანდინავიის კომპარტიის მანიფესტი

სტოკჰოლმი. 3 დეკემბ. ამ რამდენიმე დღის წინათ დაიხურა სკანდინავიის სახელმწიფოებისა და ფინეთის კომპარტიების კონფერენცია. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ყველა ქვეყნებში უმუშევრობის ზრდის, გათავხედებული კაპიტალის შეტევის და აგრეთვე შვეციისა და დანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობების მიერ მუშათა კლასის ინტერესების დაცვაზე უარის თქმის გამო, მდგომარეობა ფრიად სერიოზული ხდება.

მანიფესტი აღნიშნავს, რომ ახლო ხანში მოსალოდნელია მწვავე კონფლიქტები შრომის ფრონტზე. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანებისაკენ და სხვა.

ინგლისის მუშების ხმა

ლონდონი. 3 დეკ. გაზეთები ისევ ძველებურად გაჩუმებული არიან საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ნოტის შესახებ.

„ვესტმინსტერ გაზეთის" ცნობით, ჩერჩილმა შეიტანა მინისტრთა საბჭოში წინადადება, რომ დაუყოვნებლივ შესწყდეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და რაკოვსკისაც მიეცეს ინგლისიდან გასვლის პასპორტი. გაზეთის ცნობით ამ წინადადებამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია გარეშე საქმეთა მინისტრის ჩემბერლენის მხრივ, რაც ფაქტიურათ ნიშნავს მთელ სამინისტროს პასუხს.

მუშათა პარტიის ლონდონის ორგანიზაციის კონფერენციაზე მიღებულია საპროტესტო რეზოლიუცია ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულების დაუმტკიცებლობის წინააღმდეგ.

მონღოლეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია

ურგა, 3 დეკემბ. მონღოლეთის დიდ-ხურულდანის მიერ მიღებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია შესდგება მშრომელთა უფლების დეკლარაციიდან, რომლის წყალობითაც უნდა განმტკიცდეს ყველა რევოლიუციონური მონაპოვარი. კონსტიტუციით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებათ ითვლებიან დიდი ხურულდანი და მცირე ხურულდანი. მცირე ხურულდანი იკრიბება წელიწადში ორჯერ. თავისი ორგანიზაციის ხასიათით იგი ძალიან წააგავს საბჭოთა კავშირის ცაკს.

მყვლეფელ კლასებს კონსტიტუციის ძალით წართმეული აქვთ საარჩევნო უფლება. ხურულდანის მიერ დამტკიცებულია აგრეთვე რესპუბლიკის წითელი დროშა დამოუკიდებლობის სიმბოლიური სურათებით. დადგენილია მონღოლეთის წითელ სატახტო ქალაქს ურგას დაერქვას დღეიდან „ულან ბატორ ხოტო", რაც ნიშნავს „ქალაქი წითელი რაინდი". იმავე კრებაზე მიღებულია აგრეთვე ახალი სტილის წელთაღრიცხვა. კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ ხურულდანისადმი მისალმებით გამოვიდა კომინტერნის წარმომადგენელი და განაცხადა, რომ კონსტიტუციის მიღება მონღოლეთის ხალხის ცხოვრებაში ნიშნავს უდიდეს რევოლიუციონურ ნაბიჯს, რომელიც ნიშანია გამარჯვებისა აღმოსავლეთის ერების რევოლიუციონურ ბრძოლაში.

პარტიული ცხოვრება

ქალთა შორის მუშაობა თიანეთის რაიონში

უნდა ითქვას, რომ ქალთა შორის მუშაობა თიანეთის რაიონში თავის სიმაღლეზეა დაყენებული. არის ერთი ორგანიზატორი-ქალი, რომელიც აწარმოებს ქალთა შორის მუშაობას; არჩეულია დელეგატ-ქალები, რომლებსაც კვირაში ერთხელ სისტემატიურათ აქვთ კრებები, სადაც ისმება ქალების საჭირ-ბოროტო კითხვები, კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

საერთო კრება კი თვეში იმართება ერთხელ. ქალებს აქვთ თავიანთი პოლიტ-წრე, სადაც ყოველ კვირა მიმდინარეობს მეცადინეობა წინასწარ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით. ამასთანავე გლეხის ქალები არიან არჩეულნი როგორც საბჭოებში, აღმასკომში, აგრეთვე გლეხკომში, კოოპერატივში, სახალხო სასამართლოში მსაჯულებათ და იჩენენ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში.

რაიონში ქალთა ორგანიზაციამ დაიმუშავა [illegible], მოიყვანეს სელი და ამ ჟამად სათესლე მასალა აქვთ 11 ფუთამდე, სელის ღეროებიდან კი ისინი აკეთებენ ტილოს ასე, რომ მათ რამდენიმე თოფი ტილო ექნებათ თავიანთი შრომით შექმნილი.

გლეხ-ქალებს აქვთ თავიანთი საქსოვი მანქანებიც, სართავი და სხვა. ამ უკანასკნელ ხანებში მათ განიზრახეს დაარსონ ჭრა-კერვის სკოლა.

რაც შეეხება კულტმუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ გლეხის ქალები აქაც იჩენენ არა ნაკლებ ენერგიულობას. ისინი სწავლობენ წერა-კითხვას სალიკვიდაციო სკოლებში, მოსდით თავიანთი ჟურნალი. ღებულობენ გაზეთებს, კითხულობენ პოლიტიკურ წიგნებს, ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა კამპანიის ჩატარებაში და სხვ.

ქალთა ორგანიზაციას აქვს ცოტაოდენი საკუთარი თანხაც, რომლითაც უწევენ დახმარებას ღარიბ გლეხის ქალებს. ქალთა ორგანიზაციამ აგრეთვე დიდი დახმარება გაუწია ესკადრონს, რომელსაც დაურეცხეს და დაუკერეს საცვლები და თავიანთ დამუშავებულ ბოსტნიდან მისცეს რამოდენიმე ფუთი კართოფილი და ხილი.

აქედან სჩანს, რომ აქაური გლეხის ქალები დიდ ყურადღებას აქცევენ წითელ ჯარს.

თაიგელი დათა.

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია

გუშინ, 4 დეკემბერს საღამოს 6 საათზედ თბილისის კომიტეტის სახელით ამხ. რუბენმა გახსნა თბილისის სამაზრო-საქალაქო მე-5-ე პარტ. კონფერენცია.

კონფერენციის მიერ პრეზიდიუმში ერთხმად იქნა არჩეული შემდეგი ამხანაგები: ს. ორჯონიკიძე, ცხაკაია, ორახელაშვილი, მახარაძე, კახიანი, სოხიშვილი, რუბენი, ქავთარაძე ლადო, მელაძე, სტურუა გ., მიხაილოვა და ვართანოვი. სამდივნოში: ოკუჯავა, აკოპოვა, მთვარელიძე.

შემდეგ ცოტაოდენი ცვლილებით დამტკიცებულ იქნა დღის წესრიგი და რეგლამენტი. ამასთანავე ერთად არჩეული იქნენ შრომის ნაყოფიერების და საშუალო ხელფასის, პარტიული და საბჭოთა მუშაობის კომისიები.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას აკეთებს ამხ. რუბენი. ამხ. რუბენის მოხსენებას მოვათავსებთ ხვალინდელ გაზეთის №-ში.

პარტიული მუშაობა დიდი-ჯიხაიშში

(ქუთაისის მაზრა)

ეს თემი მთელ მაზრაში ითვლება მოწინავე კუთხეთ. აქ არალეგალური მუშაობის დროს არსებობდა კომუჯრედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი პარტმუშაკი ამხ. კაკაბიძე; მისივე ხელმძღვანელობით დაარსებული იქნა ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედიც, რომელმაც შემდეგ მძლავრათ გაშალა ფრთები და დღეს თავის ირგვლივ იკრებს ამ თემის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს.

გასაბჭოების შემდეგ პარტმუშაობა ვერ მიმდინარეობდა ნაყოფიერად, მაგრამ დღეს ეს დეფექტი შეიძლება ჩაითვალოს გამოსწორებულად; უჯრედს ჰყავს სათანადოთ მომზადებული და საქმის მცოდნე ხელმძღვანელი, კრებები თითქმის იმართება დანიშნულ დღეს სისტემატიურად, სადაც, გარდა პარტ-ორგანიზაციულ საკითხებისა, ირჩევა ადგილობრივ ხასიათის კითხვები, რომლებიც შეეხება უმთავრესად გლეხობის ყოფა-ცხოვრებას.

დიდი-ჯიხაიშში არსებობს პოლიტ-წრეც, რომელშიც თავს იყრის მშრომელი გლეხობის და ადგილობრივი კულტურული ძალების თვალსაჩინო ნაწილი, ამ პოლიტ-წრეში იკითხება მოხსენებები სხვადასხვა პოლიტიკურ ხასიათის თემებზე, იმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც ხელს უწყობს მათ გათვითცნობიერების საქმეს.

პარტ-ორგანიზაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან და გლეხკომთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქვეყნის აღმშენებლობას. ადგილობრივი მშრომელი მოსახლეობა დიდის ენერგიით ეკიდებოდა ამ საქმეს. ისინი აქტიურად ჩაბმული არიან ამ მუშაობაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ სხვა კულტურულ დაწესებულებებთან ერთად არსებობს სამომხმარებლო კოოპერატივი. მას თითქმის შვიდი წლის ისტორია აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, ვერ აწვდის მომხმარებელ პირველ მოთხოვნილების საგნებს, რომლის გამოსწორებასაც მომავალში, როგორც ც. კავშირის რაიონულმა განყოფილებამ, აგრეთვე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, რითაც ჩვენ ხელს შევუწყობთ გლეხობის უფრო ფართოთ შემოკრებას კოოპერატივის ირგვლივ და რომლითაც ცხოვრებაში გავატარებთ ბელადის ანდერძსაც — „მუშების და გლეხების კავშირის განმტკიცებას", რომლის გარეშეც შეუძლებელია ჩვენი საბოლოო გამარჯვება.

ამას ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამაც უნდა მიაპყროს თავისი ყურადღების მაქსიმუმი.

შ. ნუკუბიძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

თბილისის ორგანიზაციის ახალგაზრდა კორესპონდენტების კრება

30 ნოემბერს ა. ლ. კ. კ. ცეკას შენობაში შესდგა „სპარტაკის" რედაქციის ინიციატივით ახკორთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო წევრების დიდი უმრავლესობა. კრების მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. გ. ძიგრაშვილი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მთლიანი პოლიტ-განათლების სისტემა, ახკორთა წრეების რაიონებთან დაკავშირება, გაზ. „სპარტაკის" გავრცელება და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის, მთლიანი პოლიტ-განათლების სისტემის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ძიგრაშვილი, რომელიც მარტივი ენით აშუქებს ზოგად ფორმებში ამ სისტემის მთავარ მხარეებს და როგორი ცვლილება შეუძლია შეიტანოს ამ სისტემის სისწორით ცხოვრებაში გატარებამ ჩვენი ახალგაზრდობის კულტურულ-აღმზრდელობითი დონის ამაღლების საქმეში. ამხ. ძიგრაშვილის აზრით თვითეული კომკავშირელის თვითეულის კორესპონდენტის მუშაობა ამ სისტემის გატარების საქმეში მხოლოდ მაშინ შეიქნება ნაყოფიერი, როდესაც თვითეული ჩვენთაგანი საფუძვლიანად გაეცნობა ამ სისტემის მთავარ შინაარსს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ჩვენ ა. კ. კ. ცხოვრებაში 1922 წლამდე არსებულ მდგომარეობას, როდესაც ჩვენი კავშირის საუკეთესო ძალები იძულებული იყვნენ იარაღის ქვეშ ყოფილიყვნენ, რათა მით სამხედრო ფრონტზე დახმარება გაეწიათ პარტიისათვის. ამ სისტემის შემოღების აუცილებლობას მომხსენებელი უკავშირებს 22 წლიდან ჩვენი ა. ლ. კ. კ. კავშირში მომხდარ ცვლილებებს, როდესაც კავშირის წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისმება საკითხი ახალგაზრ. ლენინელების მომზადების და მათი ბოლშევიკურად აღზრდის შესახებ. და ბოლოს მომხსენებელი ეხება ამ სისტემასთან დაკავშირებულ კომკავშირელების სხვადასხვა კატეგორიებად დაყოფის საკითხს და თუ როგორი მეთოდებით უნდა ვაწარმოოთ მუშაობა თვითეულ ამ კატეგორიებში, რომ მან მოგვცეს დადებითი შედეგები.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, იყო მრავალი შეკითხვებიც.

დასრულებულ მოხსენების გარშემო გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. გ. ძიგრაშვილის მთლიანი პოლიტ-განათლების სისტემის მნიშვნელობის შესახებ,—ჩვენ თბილისის ორგანიზაციის ახკორთა საქალაქო კრება მოვალეთ ვთვლით თვითეულ ჩვენთაგანს, რათა მთელი ჩვენი ენერგიით ხელი შევუწყოთ ამ სისტემის ურყევად გატარების საქმეს.

მეორე საკითხის შესახებ ახკორთა საერთო კრება მიზანშეწონილად სცნობს, რათა დღეიდან ახკორთა წრეები დაუკავშირდეს თვითეულ რაიონებს, კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიას და მათთან შეთანხმებული მუშაობა აწარმოონ რაიკომის საგიტ-საპროპაგ. განყ. ხელმძღვანელობით. თვითეულ რაიონებისათვის საერთო კრებაზე გამოყოფილ იქნა ამხანაგები—მესამე საკითხი მომხს. დაუსწრებლობის გამო გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

კირ. პატარაია.

რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებაში

რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილების თანახმად დაგზავნილია ცირკულიარი, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასიაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ქალთა რიცხვი დაყვანილი უნდა იქნეს ქალაქებში 25 პროცენტამდე, აზერბეიჯანის და სომხეთის სოფლებში 10 პროცენტამდე, საქართველოში 15 პროცენტამდე.

* * *

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილების თანახმად გაცემულია ცირკულიარული განკარგულება ადგილებისადმი, რათა სამივე რესპუბლიკაში აუცილებლად მოეწყოს ქალთა უფლებების დაცვის საქმე იურიდიულ კონსულტაციის საშუალებით იმ კომისიებთან, რომელთაც დავალებული აქვთ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხების მოწესრიგება. სასამართლოებში ქალების დაცვის მიზნით მომზადებული უნდა იქნეს უფლებების დამცველ ქალთა კადრი დელეგატ ქალებიდან და ქალთა განყოფილების აქტივისაგან და დამყარებულ იქნეს მჭიდრო კავშირი საკუთარ წარმომადგენლების საშუალებით სახალხო სასამართლოებთან და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებასთან.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყო ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს და გააუმჯობესოს ქალის შრომა წარმოებაში. კომისიამ დაგზავნა ადგილებზე მასალები, რომლებშიაც გაშუქებულია კომისიის მიზნები, ამოცანები და ორგანიზაციული სტრუქტურა. კომისია წინადადებას იძლევა ასეთივე კომისიები დაარსდეს რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებთან, ამასთანავე კომისიამ შეიმუშავა 3 თვის მუშაობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა.

* * *

ამიერ-კავკასიის რკინის გზების პროფკავშირის, სახალხო კავშირის და რკინის გზის კოოპერაციის ადგილკომების ხელახალი არჩევნების გამო, ყველა კომფრაქციებს, უჯრედებს და აგრეთვე მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ცენტრალურ განყოფილებებს წინადადება მიეცათ ჩააბან ქალები საარჩევნო მუშაობაში, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანოებში დაწყებული ქვედა რგოლებიდან, გათავებული ცენტრალურ გაერთიანებამდე როგორც რესპუბლიკანური, ისე ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

* * *

5 დეკემბერს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებასთან შესდგება თათბირი, რომელზედაც მოხსენებებს გააკეთებენ შემდეგი სამაზრო ორგანიზაციების ქალთა განყოფილებების გამგეები: ყაზახის (აზერბეიჯანი), ზუგდიდის (საქართველო), ეჩმიაძინის (სომხეთი).

მუშათა ცხოვრება

უნდა დაისაჯონ შესაფერისად.

(ქიათურის სამაღმასკომის საყურადღებოდ.)

კვირას, 30 ნოემბერს სადგურ საჩხერეში მატარებელზე დასხდა ახალგაზრდობის ჯგუფი. როგორც მათ ლაპარაკიდან ირკვეოდა, ეს ახალგაზრდები იყვნენ ქიათურის სამაღმასკომის მიერ გამოგზავნილი დ. საჩხერეში წერკუმის კვირეულის ჩასატარებლად. ეს ახალგაზრდები, რომლებიც თავის თავს ასახელებდენ საზოგადო მოღვაწეებად, ძალზე გალეშილან ღვინით, და მათი უშვერი სიტყვებით და შეუსაბამო მოქმედებით მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მგზავრებზე; ეს „ტარიელ მკლავმაგრეები" რაინდობდნენ რა თავისი „დამოჩკების" წინაშე, რომლებიც თავიანთი ბუტიაობით ხელს უწყობდნენ მათ თავგასულობას, იმუქრებოდნენ სროლით! ერთმა მათგანმა, სახელით „ბორისმა" კიდეც ამოიღო [illegible] რევოლვერი, და დაუმიზნა ერთს და მეორეს, და დაშინებულმა მგზავრებმა ძლივს მოახერხეს მისი დამშვიდება. ეს „სახალხო მოღვაწენი" აღმოჩნდნენ (სულ 12 კაცი) უბილეთოები, მაგრამ რას გახდებოდა ულონო რევიზორი პუმბურიძე, რომელსაც სიმთვრალი და „კონტრ-რევოლიუციონერობა" დასწამეს და თავისი მილიციელით მუქარით და კინწის კვრით გააგდეს.

საჭიროა გამოირკვეს ამ ვაჟბატონების ვინაობა, და მოეთხოვოთ მათ შესაფერისი პასუხი.

რაჭის მაზრის სამხედრო კომისარი პროკოფე თავდომაძე.

დროა ბოლო მოეღოს.

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

რამდენიმე ხნის წინად ტრამვაიში ჰქონდა ასეთ შემთხვევას ადგილი: გაქანებულ ტრამვაის შეახტა ერთი ყმაწვილი კაცი, მაგრამ ამხანაგის რჩევით ისევ უკან ჩამოხტა; კონდუქტორმა გააჩერა ტრამვაი, გამოეკიდა ამ ყმაწვილ კაცს და ქალ. აღმასკომის დადგენილი წესის დარღვევისათვის 50 კაპ. გამოართვა. კონდუქტორმა ფული კი მიიღო, მაგრამ ქვითარი არ მისცა, რის გამოც ტრამვაის ერთი მგზავრთაგანი გამოექომაგა. კონდუქტორმა უხეშად დაიწყო ყვირილი და ლანძღვა-გინება. მოქალაქე მას ნომერს სთხოვდა, მაგრამ კონდუქტორმა უპასუხა: „მუშაობას მიშლი, ჩამოდი თორემ ამ წიგნაკს თავში დაგარტყამ". თავისუფლების მოედანზე კანტორაში გამგემ [illegible] და ამით გათავდა საქმე.

მუშკორი [illegible]

მოაწესრიგეთ ჩვენი საქმე.

(რკინ. გზის მთავარ სახელოსნოების ადგილკომის საყურადღებოდ).

ვერა და ვერ იქნა და მთავარ სახელოსნოების ჩვენი მუშა-მოსამსახურების ჯამაგირების საქმე ვერ მოწესრიგდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ესენი გარდა სპეცებისა თვიდან-თვემდეს ელოდებიან მარტოკა ჯამაგირების მიღებას. მაგრამ ამასაც რაღაც მიზეზების გამო თავის დროზე ვერ ვღებულობთ. მაგალითად ოქტომბერში მივიღეთ ჯამაგირები ხუთში, ნოემბერში კი ცამეტში.

რაშია საქმე? განა შეუძლია 20-და 25 მანეთით თავი ირჩინოს 6 სულისაგან შემდგარმა ოჯახმა თვე და რვა დღე? ასეთი მეორე ჯამაგირების პატრონები ბევრნი არიან [illegible]-ურ მუშა-მოსამსახურეებში, როგორც მაგალითად დარაჯები, [illegible] ხურებლები და სხვ., რომლებიც მარტოკა ჯამაგირებზე არიან, ამაში დანაშაული მიუძღვის ადმინისტრაციას. მთავარ-სახელოსნოების ადგილკომო, დაგვეხმარე და გამოასწორე ჩვენი საქმე.

მუშა სიონელი.

ალაგმეთ ეს თავხედი მოიჯარადრე.

(შრომის ინსპექციის საყურადღებოდ).

სასტუმრო „ორიანტი"-ს მოიჯარადრე ბ. აბაშიძეს და გემო-კვების კავშირის შორის დამოკიდებულება ძლიერ გამწვავდა.

ეს ვაჟბატონი არ ემორჩილება კავშირის დადგენილებებს, დაარღვია მასთან კოლექტიური ხელშეკრულება და სხვ.

უკვე ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მკვებავთა კავშირი აქტიურ ბრძოლას აწარმოებს მუშა-მოსამსახურეების წურბელის აბაშიძის წინააღმდეგ, რომ მას შეეკრა კოლექტიური ხელშეკრულება, რომ თავის დროზედ დაეკმაყოფილებია მუშა-მოსამსახურეები შრომის ხელფასით და არ დაერღვია კავშირის დადგენილებანი, რასაც ის დაუსჯელად სჩადის, ყოველივე ბრძოლა მის წინააღმდეგ ზღაპრის თქმულებად იქცა, და ეს მუშების წურბელა მაინც თავისას განაგრძობს, რადგანაც მას დღემდის არ მოხვედრია რკინის ცოცხი. ეს ცოცხი კი აუცილებელია.

მუშკორი გ—დი.

გაანათეთ ეს დაღმართი

(აღმასკომის საყურადღებოდ)

კარიაულის დაღმართი განთქმულია თავის სიბნელით რომლითაც სარგებლობენ ათასნაირი ბოროტი და შავ-ბნელი ელემენტები და აქ იკრიბებიან. ამ დაღმართის [illegible] ის მარჯვენა მხარე [illegible] რომ გამვლელ [illegible] რომ წონასწორობა დაჰკარგოს—და ხელ-გადავარდეს, [illegible] — უმჯობესია საიქიოსკენ მოახდინოს „ექსკურსია". დაღმართს ეტყობა, რომ ერთ დროს ამ ადგილზე რკინის მოაჯირი ჰქონია მოსალოდნელ მარცხის თავიდან ასაცილებლად და ეხლა იგი აღარ არსებობს. ასე, რომ ყოველთვის უნდა მოველოდეთ რაიმე ფათერაკს.

აღმასკომო! დაღმართი გაანათე და მოაჯირი აღადგინე.

ინფ. ტონკა.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

— „კომუნისტი"-ს № 201-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით „ახალგაზრდა ჯიბგირების ახალი ხრიკები", რომლის მიხედვით ჯიბგირები ახალი საშუალებებით ფულს ჯიბეებს აჭრიდნენ, გაცნობებთ რომ, როგორც სჩანს 1 რაიონის უფროსის მოხსენებიდან, მიღებულია აღამკვეთი ზომები მათ შესაპყრობად.

— „კომუნისტი" № 144-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „სახლის პატრონის აღვირ-ახსნილობა", რომლის მიხედვით სახლის პატრონი ხეთაშვილი არღვევს მყუდროებას ეზოში და სავალდებულო დადგენილებებს ქირების შესახებ, გაცნობებთ, რომ, როგორც კვლევა ააშკარავებს, ზემოაღნიშნულ მოვლენას ადგილი ჰქონებია ოთხი-ხუთი თვის წინათ, ახლა-კი ასეთებს ადგილი არა აქვს.

— „კომუნისტი"-ს № 203-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით „მოგვაშორეთ ასეთი ლოთი და მოჩხუბარი ვაჟარი",—რომლის მიხედვით მოქ. დალაქიანცს ბრალდება ლოთობა, ჩხუბი და დანით ხელში დაჭრა თავისი ცოლისა, გაცნობებთ, რომ დალაქიანცი, როგორც ამას კვლევა-ძიება ააშკარავებს, ქალზე სიმთვრალის გამო როცა [illegible] საზამთროთი და დანით ხელში მიდიოდა თავის ამხანაგებთან სრულიად უნებლიეთ მის ცოლს მოსჭრა თითი, ხოლო მოქალაქე დალაქიანცი საზოგადო მყუდროების დარღვევის გამო მილიციის მიერ იყო დაჯარიმებული 10 მანეთით.

კანცელარიის მმართველი **გუგუშვილი.**

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

შეკითხვა

მე ამ ზაფხულს ვმუშაობდი კოჯრის საბავშვო სახლებში, რომელიც ეკუთვნის განათლების კომისარიატს და ჩემი შრომის ხელფასი, რომელიც შეადგენს ორას სამოცდა ათ მანეთს, ჯერაც ვერ მიმიღია. ეს საქმე ებარა განათლების სახკომის რწმუნებულს ლუკა ხავლეს-ძე ჯალაღანიას. საქმის გათავების შემდეგ, აგერ სამი თვეა, დავდივარ და ფული ჯერაც ვერ მივიღე. არ ვიცი ვის მივმართო. ამ ფულისათვის მე ავიღე აღმასრულებელი ფურცელი ჯალაღანიაზე. ეს ფურცელი შევიტანე განათლების კომისარიატში, მაგრამ იქაც ვერა გავიგე-რა. მას შემდეგ შევიტანე ორი განცხადება. მეორე განცხადებაზე ყურადღება მომაქცია განსახკომის ამხ. კანდელაკმა და დააწერა რეზოლიუცია: „გამოიძიეთ ამის საქმე; თუ ეკუთვნის, მიეცით". ეს განკარგულება გადასცეს ინჟინერ ჟორჟაძეს სისრულეში მოსაყვანად. მან მითხრა: „მართალია გეკუთვნის, მაგრამ მე ფული არა მაქვს და საიდან მოგცეო". ეხლა აღარ ვიცი, ვის მივმართო ჩემი ნამუშევარი ფულის მისაღებათ. ყველანი ერთი მეორეზე მიუთითებენ და ფულის მომცემი კი არავინ სჩანს. მირჩიეთ როგორ მოვიქცე.

პროფკავშირის წევრი დურგალი ალექსი ჯავახიშვილი.

პასუხი

შრომის ხელფასი თქვენ უნდა მიიღოთ განათლების სახ. კომისარიატიდან, ვინაიდან მოქ. ჯალაღანია ითვლება მის ოფიციალურ რწმუნებულად. აღმასრულებელი ფურცელი უნდა წარუდგინოთ თვით კომისარიატს.

შეკითხვა

მე ვცხოვრობ მე-10 სამილიციო უბანში პლეხანოვის ქ. № 114-ში. სახლი ეკუთვნის მუშათა საბინაო კოოპერატივს. მიჭირავს ერთი ოთახი მესამე სართულზე, სივრცით 15 კვად. არშინი. გვაქვს საერთო სამზარეულო, რომლითაც სარგებლობს რამოდენიმე ოჯახი.

ვმსახურებ ამ. კავკ. რკ. გზაზე ქმოსან-მოვარჯიშედ. შრომის ხელფასს ვიღებ მე-8 ხარისხით 31 მან. და 70 კაპ-ს რაოდენობით. გთხოვთ გვაცნობოთ, რამდენი გადავიხდი ფაქტიურად ოთახის ქირას.

ნიკ. ივანის ძე შანიძე.

პასუხი:

თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ იხდით 0,5 კაპეიკს, სულ მთელ ბინისას—15,5 კაპეიკს (თითქმის 16 კაპეიკს) და დამატებით სამზარეულოთი სარგებლობისათვის იხდით ბინის ქირის ერთ პროცენტს.

[illegible] № 5 (930) [illegible] ლოს წევრები, რომლებმაც გამოთლეს ყველა ბრალდებულები, დაპატიმრებული არიან.

ს. კ. პ. ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

(ამხ. ა. დოლიძის მოხსენება*)

სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება

სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება დაარსებულ იქნა 1923 წლ. ივლისში.

შტატის სიმცირისა (სულ 3 კაცი) და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაციის პერიოდში ყოფნის გამო განყოფილებას არ შეეძლო თავის ამოცანების სავსებით განხორციელება; ამიტომ მისი მუშაობა უმთავრესად განისაზღვრებოდა მომზადებითი და საინფორმაციო საკითხებით, უმთავრესად კონსულტაციით. სახელდობრ ის ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას დებულების, ინსტრუქციების და დეკრეტების დამუშავებაში და რეორგანიზაციის კითხვებში როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან ე. ი. 1924 წ. მარტიდან განყოფილების მუშაობა ღებულობს უფრო საგეგმო-ოპერატიულ და საორგანიზაციო ხასიათს:

1. შესწავლა და გადამუშავება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამოქმედო გეგმის 1924 წ. აპრილის და სექტემბრის თვეების და მისი შეფარდება ა. ქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საერთო საკალენდარო გეგმასთან.

2. მოხდენილია გამოკვლევა მთლიან კოოპერატივის ცენტრალურ სამმართველოს საქმის წარმოების რაციონალიზაციის მიზნით.

3. თანახმად საუწყებო კონტროლის პროექტის დებულებისა გამომუშავებულ სახელმწიფო აპარატების გამაუმჯობესებელ განყოფილების მიერ მოხდენილია რეორგანიზაცია ქალაქის აღმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის.

4. განყოფილება აწარმოებდა მუშაობას სტუდენტ-პრაქტიკანტების მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში ჩასაბმელად.

5. განსაკუთრებით დავალებით მოხდენილია გამოკვლევა თბილისის ტრამვაის მდგომარეობის; გამოირკვა, რომ გზები და საჰაერო მავთულები კატასტროფიულ მდგომარეობაში არიან, მარაგი კი სრულებით არ არის.

რაც შეეხება ვაგონების პარკს, გერმანიიდან მიღებულ ვაგონების ნაწილების საშუალებით ჩვენს სახელოსნოებში შესაძლოთ შეგვეკეთებია დაახლოვებით 50 სამოტორო ვაგონი. მთავარი ხაზის კაპიტალური რემონტის ხარჯები გამოანგარიშებულია 700.000 მან., რომელთაგან 150.000 მან. შეტანილია 1924 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში.

6. აგრეთვე სპეციალური დავალებით მოხდენილია გამოკვლევა მარგანეცის საქმის ექსპორტთან დაკავშირებით. ამ მუშაობის შედეგში წამოყენებულია საკითხი „ჩემო"-ს საზოგადოების ძირითადი რეორგანიზაციის შესახებ. ტეხნიკურ დარგში გამომუშავებულია 2 პროგრამა მუშაობის ექსპორტის გასაძლიერებლად მინიმუმში და მაქსიმუმში, რომელშიაც შედიან: აღდგენა მადნის დასაგროვებელი აპარატის, [illegible], გზების გაყვანა, დატვირთვის მექანიზაცია და სხვა. ამ ჟამად ეს საკითხი წარდგენილია რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებში.

7. ერთ უმთავრეს მუშაობათაგან რომელიც შესრულებულია განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში, უნდა ჩაითვალოს კალკულიაციის ფურცლის ერთიანი ფორმის გამომუშავება და კალკულიაციის დაყენება ამ ფორმით მესამე სახელმწიფო თუთუნის ქარხანაში ცდის სახით. ეს პირველი ცდა არის თამბაქოს თვითღირებულების გამოკვლევისა მეცნიერულად.

8. თავისი მოწყობის პირველ დღიდანვე განყოფილება აქცევდა დიდ ყურადღებას საანგარიშო საქმეს, ბალანსებს და სხვა, დაწესებულებებში. ამ მიზნით შესწავლილი იქნა მასალები მიღებული მოსკოვიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ანგარიშწარმოების აპარატების მოწყობას. ორმაგ იტალიანურ სისტემაზე გადასვლის უფრო შესამუშავებლათ, განყოფილების სპეციალისტის მიერ სისტემატიურად იქნენ მოწვეულნი კომისარიატების ბუღალტრები თათბირზე, რომელზედაც ირჩეოდა ყველა წამოჭრილი საკითხები და ეძლეოდათ ინსტრუქციული განმარტებები. ახლო მომავალში სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელ განყოფილებასთან განზრახულია მოეწყოს მოანგარიშეების თათბირი გასარჩევად ყველა იმ თეორეტიულ და პრაქტიკულ საკითხების და ღონისძიებების გამოსანახად, რომლებიც წამოიჭრებიან ანგარიშწარმოების უნიფიკაციის გამო.

9. ამჟამად განყოფილება აწარმოებს დიდ მუშაობას სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა პირად შემადგენლობის გადასინჯვისა და გაწმენდის სახით სახელმწიფო აპარატების გაჯანსაღების მიზნით. ეს მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულების მე-5 მუხლიდან, შეიცავს შემდეგ საკითხებს: სარევიზიო და საინსპექციო მასალების მიხედვით პასუხისმგებელ მუშაკთა დახასიათების შესწავლა, ხელმძღვანელების შემადგენლობის შემთხვევითი დანიშვნის წინააღმდეგ ზომების მიღების მიზნით. უფრო ღირსეულ მუშაკების შერჩევა მათი ცალკე კომისარიატებში განაწილების თვალსაზრისით, სპეცების შეფასება-შესწავლა უფრო პატიოსან და თავდადებულ მუშაკების თვალსაზრისით. თვითეული თანამშრომლის მომზადების ხარისხის გამოკვლევა, გამოაშკარავება პროტექციონიზმის შემთხვევებისა და სხვა ცუდ მოვლენების.

ზემოთ აღნიშნულ ამოცანების გარდა ისმება საკითხი აგრეთვე სახელმწიფო აპარატების გაწმენდის შესახებ კონტრ-რევოლიუციონურ, სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და საერთოდ მავნე ელემენტებისაგან. აგრეთვე ექცევა მთავარი ყურადღება უყაირათობასთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და სხვა. ცენტრალურმა კომისიამ დაიწყო წმენდა ჯანმრთელობის კომისარიატიდან და მასში შემავალ ცენტრალურ დაწესებულებებიდან. მოწყობილია მთელი რიგი ქვეკომისიებისა, რომლებმაც უნდა ჩაატარონ წმენდა შემდეგ დაწესებულებებში: სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში, ზაჰესში, „წარმოკავშირში", წითელ ჯვარში და სხვა. ამავე დროს კომისიის მიერ მიღებული იყო ზომები წმენდის ორგანიზაციის მოსაწყობად მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ეს მუშაობა თითქმის დამთავრებული და მასალები დამუშავების პერიოდშია.

ამჟამად გარეშე ინსპექციის განყოფილებაში ჩატარებულია შემდეგი მუშაობა:

1. გასინჯულ იქნა მუშათა მთლიან კოოპერატივის ცენტრალური და № 9 მაღაზიები, რომლებშიაც აღმოჩენილია მოსამსახურეების მიერ სხვა და სხვა ნივთების ქურდობა, რის გამო დათხოვნილ და მიცემულ იქნენ სამართალში მთელი რიგი პირებისა.

2. ამიერ კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დავალებით გასინჯული იქნა შაქრის ოპერაციები, ინვალიდთა არტელის „განთიადი" და „დახმარება" და სომხეთის დამხმარე კომიტეტის თბილისის განყოფილება. აღმოჩნდა, რომ „განთიადი" ღებულობდა შაქარს შეღავათიან პირობებში შაქრის ტრესტიდან და ჰყიდდა მას კერძო ვაჭრებზე უფრო იაფად და უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე აძლევდა თავის მაღაზიებს და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს, მაგ. გლეხკომებს. შაქარს ჰყიდდენ ხშირათ უფრო იაფად, ვიდრე თვითონ ყიდულობდათ. ამჟამად არ არსებული არტელი „დახმარება" იღებდა შაქარს და ჰყიდდა მას კერძო პირებზე, თვითონ კი იღებდა მოსაგებს მხოლოდ იმ რაოდენობით, როგორიც შეღავათით ის ღებულობდა შაქრის ტრესტიდან. ამასვე სჩადიოდა სომხეთის დამხმარე კომიტეტის განყოფილება. მთელი საქმე გადაცემული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს.

3. მოხდენილია გამოკვლევა სრულიად საქართველოს ინვალიდთა ორგანიზაციის საზოგადოების. გაზეთების ცნობების მიხედვით, თითქოს ამ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონებოდეს სახელმწიფო ვაჭრობის ჩაშლას და სპეკულიაციას. თუმცა ეს ცნობები არ არის დადასტურებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შენიშნულია საქართველოს ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების გადახრა კოოპერატიულ ხაზისაგან და მისი კავშირი კერძო ვაჭრობასთან. წინადადება მიეცა გამგეობას გადახალისებულ იქნეს ეს გარიგებანი და ჩამოყალიბებულ იქნას მისი წესდება, ინვალიდთა არტელებთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით.

4. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით გამოკვლეულია საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა მისი არსებობის მიზანშეწონილობისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით. ეს დაწესებულება წარმატებით მუშაობს და მას კარგი პერსპექტივები აქვს მომავალში.

5. ამ ჟამად მიმდინარეობს რევიზია მიწ. მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო საწყობების.

6. მოხდენილია გამოკვლევა მუშაობის პარალელიზმის საკითხზე, სარევიზიო საკონტროლო და [illegible] სხვადასხვა ორგანოთა და მათ შორის: 1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, 2. ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს, 3. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს, 4. მთლიანი კოოპერატივის, 5. უ. ს. ს ს. და 6. უ. ს. ს. უწყების საკონტროლო აპარატების ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და ქალაქის აღმასკომის. შენიშნულია, რომ სარევიზიო და საკონტროლო მუშაობაში პარალელიზმი არ არის და შემჩნეულ პარალელიზმს არა აქვს მასიური ხასიათი და ადვილად შეიძლება მისი აღმოფხვრა. კოლეგიის მიერ მიღებულია გატარებული ზომები ამ მიმართულებით

7. შედგენილია პროექტი დებულების, საბინაო სექციის მოვალეობათა და უფლების შესახებ ქალაქის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოსათვის.

8. ამ ჟამად სწარმოებს საანკეტო გამოკვლევა ა/კ. სპეც.-მუშაკების ა/კ. საოლქო საკონტროლო კომისიის დადგენილების თანახმად. საქართველოდან მიღებული მასალების დამუშავება მიენდო სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელ განყოფილებას. ეს მუშაობა ფრიად საპასუხისმგებლოა და ითხოვს ძლიერ ხანგრძლივ დროს, რადგან ანკეტები მოსალოდნელია 1000-დე. საჭირო იქნება თითეულის გადათვალიერება, თითეული დაწესებულებისა და ორგანოს მიხედვით. უნდა შედგენილ იქნეს ცხრილი და დახასიათების მიცემა სპეცმუშაკების საჭიროების მიხედვით, შეფასება კვალიფიკაციისა და სპეცთა პირად შემადგენლობის სწორად გამოყენება.

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 275.

ქრონიკა

— **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში** კვირას, 7 დეკემბ. დანიშნული მოხსენება ამხ. ლ. ლეონიძისა ქართლ-კახეთის მეცხვარეობის შესახებ, გადადებულია 14 დეკემბრის დილის 10 საათისთვის.

— **საქართვ. ხისტორ.-საეთნოგრ. საზოგადოების კრება**, რომელიც უნდა მომხდარიყო წარსულ შაბათს, შესდგება ამ შაბათს, 6 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. მოხსენებას წაიკითხავს გ. ნათაძე: „ნაპოლეონ პირველის მემუარები და ანდერძი როგორც ისტორიული წყაროები". კრება წესდებით საჯაროა. ადგილი კრებისა: საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმი (კალოუბნის ქ. № 1).

— **ბარის და თოხების შეძენა.** სახალხო მამულების ტრესტმა მექანიკურ ქარხანას (ყოფილი არსენალი) დაუკვეთა ათასი თოხი და ათასი ბარი სახალხო მამულების საჭიროებისათვის.

— **სასოფლო არტელი.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატი ამ ჟამად იმუშავებს წესს საქართველოში სასოფლო არტელებისა და კომუნებისათვის.

— **მაზრებში მომუშავე აგრონომებისათვის** მიწ.-მოქ. სასოფლო-სამეურნეო განყოფილება იმუშავებს სასეზონო მუშაობის გეგმას სახელმძღვანელოთ.

— **ჩაქვის მამულში** წელს მოიკრიფა მილიონ ნახევარი ცალი მანდარინა.

— **ახტალის ტალახი.** მოსკოვის სამკურნალო დაწესებულებებმა ს. ჯანსახკომს მიმართეს წინადადებით ახტალის ტალახის მიწოდების შესახებ.

— **დამზღვევ კასას** უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში სხვადასხვა დაწესებულებებიდან, დასაზღვევი პროცენტების დროზე შემოუტანლობის გამო, ჯარიმის სახით შემოუვიდა 21,470 მ.

— **მუშების ჯანმრთელობისათვის.** ამა წლის იანვრიდან ოქტომბრამდე მუშათა დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმებისათვის ტფ. დამზღვევ სალარომ დახარჯა 82,644 მ.

— **დახმარება უმუშევრებს.** ნოემბრის განმავლობაში უმუშევარ დაზღვეულებს დამზღვევ კასამ დახმარების სახით მისცა 6,805 მ.

— **საექიმო მასალა სოფლებს.** ჯან. სახ. კომისარიატმა 13 მაზრაში 63 საავადმყოფოებისათვის დააგზავნა უფასოთ საჭირო წამლეულობა, შესახვევი მასალა და ქირურგიული იარაღები.

— **რკინის გზის ამბულატორიაში** 15 დეკემბრიდან ავადმყოფებს მიიღებენ საღამოობითაც.

— **ბათომის სასოფლო-სამეურნეო** ბანკის განყოფილებამ, სენაკის და ოზურგეთის მაზრაში გახსნა 20 საკრედიტო ამხანაგობა.

— **ჰაეროდრომი.** სოხუმში ახლო ხანში დამთავრდება ჰაეროდრომის და იპოდრომის მოწყობა.

— **გაზეთები სასოფლო სკოლებს.** ა|კ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა გადასდოს 15,000 მ. მთელ ამიერკავკასიაში სასოფლო სკოლების გაზეთებით უზრუნველსაყოფათ.

— **თემური სისტემა.** შინაგან საქ. სახ. კომისარიატმა თითქმის ყველა მაზრებიდან მიიღო თემებათ დაყოფილ ადგილების შესახებ ყოველგვარი მასალები.

— **ა|კ. სახ. კომ.** საბჭომ წინადადება მისცა ა|კ. ფინსახკომს გადასდოს 5,000 მან. გამომცემლობა „გლეხური ბიბლიოთეკის" გამოცემათა გასაიაფებლათ.

— **საკურორტო სამმართველოს.** საკავშირო გეგმათა კომიტეტმა გადასწყვიტა გაიღოს სათანადო თანხა საქ. საკურორტო სამმართველოს სამეურნეო ხარჯების დასაფარავად.

— **სურამის ხულით ავადმყოფთა** სახელოსნოების საჭიროებისათვის საკურორტო სამმართველომ გადასდო 200 მ. ხე-ტყის მასალა.

— **რკინის გზის შრომის ბირჟა** საქ. ყრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით 1 დეკემბრიდან გაუქმებული იქნა. მის ნაცვლად დაარსდა საშუამავლო ბიურო.

— **რენტგენის კაბინეტისათვის** ჯან. სახ. კომისარიატმა გადასდო 5,500 ამერიკული დოლარი რენტგენის კაბინეტის საზღვარ-გარეთ შესაძენათ.

ხელოვნება

— **ხელოვნების საბჭოს** პრეზიდიუმის წევრად დაინიშნა ამხ. შ. დუდუჩავა, რომელსაც დაევალა თეატრალური განყოფილების გამგებლობა.

— **წითელი თეატრი.** (ყოფ. სახ. სახლი). დღეს, პიესა „გესმის მოსკოვ" გენერალური რეპეტიციის გამო წარმოდგენა არ შესდგება. „გესმის მოსკოვ" წავა პირველად კვირას, 7 დეკემბერს. პიესას სდგამს: [illegible] გარროკი. პიესაში ქართულ სექტორის გარდა მონაწილეობს რუსული სექტორის მთელი შემადგენლობა.

— **წითელ-არმიელთა კლუბში** ორშაბათს, 8 ნოემბერს წითელ-არმიელთათვის გაიმართება წარმოდგენა.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

— **„გუშინდელნი"** დღეს. წითელ-არმიელთა კლუბში ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება „გუშინდელნი".

დღეს კინოებში:

— **არტისტი**, **აპოლო** და **სოლეი**—„სამი სიცოცხლე" მეორე სერია.

— **მინიონ**—„მსხვერპლი ამხანაგისათვის".

— **ოაზის**—„წმინდა [illegible]" მე-5 სერია.

წერილები პროვინციიდან

მასწავლებელთა გადამზადება ქ. ფოთში

12 ნოემბრიდან ქ. ფოთში დაიწყო მასწავლებელთა გადამზადება. მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ოთხჯერ ყველა 4 წლიან შრომის სკოლის მასწავლებელთათვის, დანარჩენებისათვის კი ეწყობა წრეები.

მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს ხელმძღვანელობენ კავშირის პ|მდივანი ამხ. ი. ქვანია და ამხ. ქ. გიორგაძე. მასწავლებლობაც დიდის ყურადღებით ეპყრობა ამ საქმეს. მიუხედავათ იმისა, რომ დატვირთული არიან საქმეებით, შემოღებულია შემდეგი საგნები: 1) ლენინიზმი, 2) პოლიტ-ეკონომია, 3) საბჭოთა აღმშენებლობა, 4) პროფმოძრაობა, 5) ნაციონალური საკითხი და 6) კოოპერაცია. ამას გარდა არის საერთო განათლების საგნები: ა) კომპლექსიური მეთოდი, ა) ბუნების მეტყველების შესწავლა ახალი მეთოდით, ბ) საქართველოს და მსოფლიო ისტორია და გ) სამშობლო მხარეს შესწავლა, რისთვისაც მოწვეულია მცოდნე და დახელოვნებული მასწავლებლები.

ამას გარდა მასწავლებელთა ცოდნის გასაღრმავებლათ ცენ. მუშათა კლუბის ლენინის კუთხეში მოეწყო მასწავლებელთა განყოფილება.

განზრახულია განათლების მუშაკთა სახლის გახსნა.

პარტიის მე-13 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასწავლებლობას და მას შემდეგ მასწავლებლობაში დიდი გარდატეხა მოხდა. ფოთის მასწავლებლობამ ამას წინად თავის კონფერენციაზე დაადგინა ხელი-ხელ ჩაკიდებულათ ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან კულტურულ მუშაობის სხვადასხვა დარგებში. ეხლა კი საჭიროა ამ დაპირების განაღდება, სიტყვიდან საქმეზე გადასვლა.

მასწავლებელი ა. ა.

როგორ „მუშაობს" გიორგიწმინდის გლეხკომი

საგარეჯო (გარე კახეთი)

სოფელი გიორგიწმინდა ძალიან ჩამორჩენილია კულტურულად. ამ სოფელში ხშირად არ იმართება კრებები, რომ გლეხობა ცოტათ თუ ბევრათ გაეცნოს თუ რა კეთდება მისთვის ან რა არის გასაკეთებელი. ამ სოფლის გლეხობის უმრავლესობა სულ ღატაკი ხალხია.

არსებობდა აქ გლეხკომი, რომელიც არაფერს არ აკეთებდა, ამ ზაფხულს სართიჭალიდან ჩამოვიდა კომისია, რომელმაც შეამოწმა გლეხკომის მუშაობა, რომელიც ძლიერ სუსტი აღმოჩნდა. გლეხკომი გადაარჩიეს, ახლად არჩეული გლეხკომიც ძველის გზით მუშაობს. გლეხკომში არის ერთი აურ-ზაური, მუდამ ქეიფი, ღვინის სმა და სხვა, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს გიორგიწმინდის გლეხობის განა გლახკომი იმისთვის არის, რომ მიკიტნების ქისეში გაიბას გლეხები?

გლეხკომმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს გლეხკომის ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურების საქმეს, შეიძინოს გლეხებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვა. როდის შეიგნებს ამას ს. გიორგიწმინდის გლეხკომი?

ი. ჯ.

რა ესაჭიროებათ დუშეთის მაზრის მთიელებს

დუშეთის მაზრა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ერთი ნაწილი შესდგება ბარის ალაგით და ორი ნაწილიც მთებით. ეს მეორე ნაწილი გაზაფხულიდან ვიდრე თოვლის მოსვლამდე დაფენილია ათასნაირი სურნელოვანი, დაუქნობარი, ყვავილიანი ბალახით. მსგავსი საძოვარი და სათიბი მთები არ მოიპოვება მთელს საქართველოში.

აი ამ ძვირფას საძოვრებში დასახლებულნი არიან [illegible] აქაიქ მთის წვერებზედ: მთიულები, ფშაველები, მოხევეები, ოსები და ხევსურები. დიდი გაჭირვებით მამაპაპური წესით ეწევიან ხვნა-თესვას.

მაგრამ იმ სიმაღლე მთის წვერებზედ აბა რა მოსავალი უნდა მოუვიდეთ? ამისთვის მათ თავის რჩენა უხდებათ ნაყიდი ჭირნახულით.

მისდევენ უფრო რქიანი საქონლის მოშენებას, ხოლო მცირე ფარგლებში ისევ მამაპაპური წესით. საქონლის ჯიშის გაუმჯობესება, რძის დამუშავება ახალი მანქანებით მათ ფიქრადაც არ მოსდით. ამიტომ მათი ნაწარმოები: ყველი, ერბო და კარაქი არის დაბალი ხარისხისა და გამოსავალითაც ხომ ბევრად ნაკლები აქვს. საქონელიც რაც ხანი მიდის, იმდენად პატარავდება, მახინჯდება, ასე რომ მათი შენახვა პატრონისათვის საზარალო ხდება.

სხვა მაზრებში კი სულ სხვა სურათია, მაგალითად: ბორჩალოს და ახალქალაქის, იქაური საქონელი რაც ხანი მიდის, იმდენად უფრო მსხვილდება—სრულდება და შემოსავალიც პატრონს ერთი სამად და ოთხად ემატება, იქაური უღელი ხარი უდრის აქაურს ორ უღელ ხარს. მიზეზი საქონლის ასე ჯიშის გადახალისებისა პირველად იყო ფერმა „ყარაყალა", საუფლისწულო მამული, საიდანაც მცხოვრებლებს ეძლეოდათ შეღავათიან ფასებში საუკეთესო ჯიშის ბუღები და მეორეც ის, რომ მცხოვრებლებმა დაიჭირეს მჭიდრო კავშირი ალაგობრივ შვეიცარიული ყველის მექარხნეებთან, რომლებსაც ფუთობლივ აბარებდნენ რძეს და მთელი ზაფხულის განმავლობაშიაც სარგებლობდნენ მათი ბუღებით. საქონლის ჯიშის გაუმჯობესებამ იქამდინ გაახალისა ხალხი, რომ ბევრმა მთის სოფლებმა მოსპეს ხვნა-თესვა და ცხოვრობდნენ მარტო რძის შემოსავლით.

აქაური მთის ხალხი კი ბედმა სულ სხვა პირობებში ჩააყენა; ესენი იყვნენ თითქმის მუქთა მუშები და დარაჯები საქართველოს სამხედრო გზისა, რომლებმაც მთელი საუკუნო ბეგარაში და უმაღლესი პირების მთაზედ გადაყვან-გადმოყვანაში გაატარეს, და იმ მათრახების ტრიალში ვინ იცლიდით ეფიქრათ ან თავის თავზე ან საქონელზე! მარტო ერთი ბოქაული განაგებდა ყველა მათ საქმეებს, ყველა მათი კარგი და ლამაზი მისი საკუთრება იყო და სხვ.

დაემხო რუსეთის ტახტი, საქართველოში გაბატონდნენ მენშევიკები, ამით ვითომც შესცვალეს ძველი რეჟიმი, მაგრამ კომისრებათ იგინივე „ნაპრისტავლები" და „ნასტრაჟნიკლები" ჩაუყენეს და თავიანთ ბოროტმოქმედებით ხალხი იქამდინ აალელვეს, რომ იძულებულნი გახდნენ იარაღით შებრძოლებოდნენ მთავრობას დასამხობათ და ეგრეც მოხდა, 1918 წელში აჯანყებულმა ხალხმა დაიკავა მთელი მაზრა და აფრიალეს საბჭოთა წითელი დროშა, რის გამოც გაიღეს დიდი მსხვერპლი და შესწირეს თავიანთი შვილები და ძმები და ამითი პირველებმა გაკაფეს საქართველოში ეკლიანი გზა კომუნიზმისაკენ. ისინი არიან ერთგულნი დარაჯნი წითელი დროშისა, რაც მრავალჯერ დაამტკიცეს.

ყველა მაზრებში ხალხი ფუტკარისავით მუშაობს, ყველა მაზრებში იმართება ბანკები და ფაბრიკები, ჩვენი მთის ხალხი კი ისევ ბურუსში არიან გახვეული და უცოდინარობის გამო ვერ გაუუმჯობესებიათ თავიანთი საძოვრები, სადაც შეიძლებოდა სამაგალითო ახალ კულტურის შექმნა.

აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს ცენტრალურმა მთავრობამ გამონახოს თანხა და დაარსოს ერთი დიდი შვეიცარული ყველის და კარაქის ქარხანა, რომელიც მოუტანს როგორც ხალხს აგრეთვე მთავრობას დიდ სარგებლობას. ეს ქარხანა იქნება სკოლა ახალგაზრდებისთვის, სადაც პრაქტიკულად შეისწავლიან და გაავრცელებენ მაზრაში ამ დიდად სასარგებლო და შემოსავლიან დარგის მეურნეობას, როგორიც მეძროხეობა და მესაქონლეობა არის. ეს ქარხანა გამოზიდის ყოველწლივ რამოდენიმე ათეულს ახალი ჯიშის ბუღებს მაზრაში საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად. ამ დარგის მეურნეობას აქვს დიდი მომხიბლავი და მიმზიდავი თვისება, ასე რომ მალე მოვა ის დრო, სადაც კი ალაგის სიფართოვე და გზები ხელს მოუწყობენ, დაიქსლება ასეთი ქარხნებით, წინათვე მომზადებულნი და დახელოვნებულნი პირების მეთაურობით. შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როგორიც ბორჩალოს მაზრაში, სადაც ომის დაწყებამდისინ ორმოც ქარხანამდე ითვლებოდა.

ნ. კეზელი.

სოფ. ასკანაში წყალსადენის გასაყვანათ

(გურია)

სოფ. ასკანის ღარიბი გლეხკაცობა ამჟამად ანხორციელებს ჯერ კიდევ 25 წლის წინად განზრახულ საქმეს. სოფლის ცენტრი, სადაც სკოლაა, თეატრი, სამკითხველო და აღმასკომი, განიცდის უკიდურეს გაჭირვებას უწყლობით. პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმულია.

ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო სესხის სახით 3000 მანეთი ასკანაში მიტანილია რკინის მილები ღირებული 3500 მანეთად. მრავალრიცხოვანმა მიტინგმა გადასწყვიტა შეასრულოს მიწის სამუშაო, მიზიდოს ხრეში, სილა, დაამზადოს ხის მასალები და დიდი სიხარულით და პირნათლად ასრულებს, რასაც ავალებს მიტინგის მიერვე არჩეული კომისია.

მუშაობის დასამთავრებლად საჭიროა 2000 მანეთი, რის გაღება დღესვე არ ძალუძს სოფლის ღარიბ გლეხობას. (მუშაობა უნდა დამთავრდეს იანვრის პირველ რიცხვებში). ყოველი გროში სჯობია აფეულ წერილებს სოფლის და ქალაქის დაახლოვებაზე. მარტო თბილისი რომ ავიღოთ, 114 ასკანელია, რომლებიც დამოუკიდებელ შემოსავლით სცხოვრობენ. დავეხმაროთ სოფელს რეალურად. ჩემი მცირე ჯამაგირიდან ვსწირავ ასკანის წყალსადენს 5 მანეთს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. სევასტი თალაკვაძეს, 2. გიორგი დოლიძეს, 3. მიხეილ სოსელიას, 4. მოსე თალაკვაძეს, 5. ვიქტორ ნინიძეს, 6. ისიდორე თალაკვაძეს, 7. მელიტონ შარაშიძეს, 8. შალვა კიღურაძეს, 9. მირიან სეფერთელაძეს, 10. ეპიფანე ვასაძეს.

ფულს იბარებს გაზ. „კომუნისტის" კანტორა.

სიმონ ქეიშვილი.

ცაგერის რაიაღმასკომის საქმიანობა

(ლეჩხუმის მაზრა)

ცაგერის რაიაღმასკომი თავის გარშემო აერთიანებს შემდეგ ყოფილ თემებს—ნაკურალეშს, მახაშის, დეკვირის და თვით ცაგერის. თემები დაშორებულია რაიაღმასკომზე რამოდენიმე ათეულ ვერსით. მდგომარეობა სრულებით ხელს არ უწყობს რაიმე მუშაობას, მაგრამ მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებებისა ამ ბოლო დროს ჩვენი რაიაღმასკომის საქმიანობა მაინც დამაკმაყოფილებელია. ჯერ ერთი თვით ცაგერის [illegible] აღმასკომი ზრუნავს ქუჩების გამშვენიერებისათვის. აყრის ხრეშს და ამით სპობს წვიმიანობის დროს ტალახს. წინეთ ღამით გავლა ბაზარში ძნელი იყო. ახლა კი ყოველ საავაჭროს წინ ქუჩები განათებულია. ბაზარში დაცულია სისუფთავე. მიღებულია ზომები დუქნებში გადაჭარბებული ღვინის სმის წინააღმდეგ. სოფლად აღმასკომი ზომებს ღებულობს გზებისა და სკოლების შეკეთებისათვის. თემის საბჭოების მუშაობასაც ამ ბოლო დროს დაეტყო გაცხოველება. დაბოლოს მადლობის ღირსია აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ც. ლეშკაშელი და მისი მოადგილე კანაჩაძე, რომლებიც დღე და ღამ შეუსვენებლივ მუშაობენ საბჭ. აღმშენებლობის გაფართოებისათვის.

ა. ფ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა სენაკის მაზრაში

მიმდინარე წლის 24 ნოემბრიდან სენაკის მაზრაში დაიწყო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად. სულ მაზრაში უნდა აიკრიფოს 166 ათასი მანეთამდე, ხოლო აქედან პირველ რიგში 56 ათასი მანეთი. პირველ დეკემბრამდე შემოსულია 12.520 მ. 91 კ. 8 დეკემბრამდე [illegible] შემოტანილი იქნება [illegible] გადასახადის პირველი [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ურაწეიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **სოფ. ქვალონში და მალადიდში** (სენაკის მაზრა) შეუდგენ ჭაობების ამოშრობას.

— **სოფ. ბარცხანის** მცხოვრებლებმა ააგეს შენობა კლუბისათვის.

— **სოფ. ახალშენის** (აჭარაში) მცხოვრებლები შეუდგენ თავის ხარჯით სკოლის აგებას.

— **2000 ლირა სკოლის ასაგებათ.** სოფ. სარფის (აჭარაში, ოსმალეთის საზღვართან) მცხოვრებლებმა შეაგროვეს 2000 თათრული ლირა სკოლისათვის დიდი შენობის ასაგებათ.

— **მეფუტკრეობის კურსები.** ახალქალაქის მეფუტკრეობის ამხანაგობამ გადასწყვიტა გახსნას მეფუტკრეობის კურსები.

— **ქუთაისის აღმასკომმა** სახ. წულუკიძის სახელობის საბავშვო სახლის ბავშვებისათვის ტანისამოსის შესაძენათ გადასდო 600 მან.

ჩვენი ფოსტა

მუშა სიონელს. თქვენი წერილი გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

„შრომის ქვეყანა" და სხვისი ნაშრომის მიმთვისებელნი

(წერილი რედაქციის მიმართ)

გამოვიდა ქართული ენის სახელმძღვანელო მოზრდილთათვის „შრომის ქვეყანა", ქრესტომატია, შედგენილი ი. მეტრეველისა და შ. ჩიქობავას მიერ.

ამ წიგნის ისტორია ჯერ ჯერობით ბნელითაა მოცული მკითხველი საზოგადოებისა და უფრო კი იმ ორგანოებისათვის, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან მსგავსი ლიტერატურით.

იდეა წიგნის გამოცემის ეკუთვნის ამხ. ლენტორ რუხაძეს, როგორც ეს მან სიტყვიერად განაცხადა. წიგნი უნდა შედგენილიყო კომპლექსიური მეთოდით და დამუშავებული კოლლექტიურად. ცხადია, იმ ნაკლს, რომელიც ეხლა ბლომად მოიპოვება წიგნს, მაშინ ადგილი არ ექნებოდა შიგ, ან ექნებოდა ნაკლების რაოდენობით.

წიგნის ასე დამუშავებას მართლაც შეუდექით სამი კაცი: ლენტორ რუხაძე, მეტრეველი და მე. სამწუხაროთ, ასეთი მძიმე და ნელი მუშაობა, როგორმაც თავი იჩინა კოლექტიურს ჩვენს სხდომაზე, მოითხოვდა დიდს დროს.

და აი, სწორედ აქ, დროს მოგების მიზნით—უმთავრესად, გადაწყდა, რომ წიგნის პირველი გამოცემა წასულიყო მარტო ჩემის რედაქციით, უმთავრესად გრამატიულ-სტილისტიური შესწორებით. აღნიშნული მუშაობა იმ ადგილიდგინ, სადაც იმ პირველ დამეს შევჩერდით ჩვენ სამნი, ჩავატარე შემდეგ მარტო მე.

ეს ცოტაა.

თვით სახელწოდება წიგნისა უდავოთ მეკუთვნის აგრეთვე მე. ორის ვარიანტისაგან:—„ახალი ქვეყანა" და „შრომის ქვეყანა",—არჩეულ იქნა უკანასკნელი.

ყველა ამის შემდეგ, ეთიკა და სამართლიანობა მოითხოვდა, რათა ზემოაღნიშნული ჩემი შრომა წიგნის შედგენის საქმეში აღნიშნულიყო წიგნის რომელიმე ნაწილში; ან წინა ყდაზე, ან წინასიტყვაობაში, ან დაბოლოს წიგნის უკანა ყდაზე მაინც.

მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ამ ახალგაზრდა პედაგოგებმა არ ინებეს და არჩიეს სხვისი ღვაწლის მიჩქმალვა.

ჩვენ თავის დროზე განვუცხადეთ ამის შესახებ წიგნის ერთ ერთ ავტორთაგანს სახელდობრ: ჩიქობავას, რომლისაგანაც, დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, მივიღეთ პასუხი, რომ ის, მის მიერაც იმ მოლაპარაკების დროს აღიარებულ შეცდომას ის წიგნის ბოლოში გაასწორებდა, მაგრამ... ჰოი, საკვირველებავ! არც წიგნის ბოლოში გვეღირსა „ვდება", წიგნი აგერ რამდენიმე დღეა, რაც გამოვიდა, ქრონიკაში აღინიშნა ეს და ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის შესახებ კრინტიც არსად იძვრის, გაზეთშიაც ალბათ იკადრეს ამისი აღნიშვნა გალაღებულმა ავტორებმა.

ამის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს შევეკითხოთ „შრომის ქვეყნის" ავტორებს: რითი ჰფიქრობენ ისინი ამ „წაყრუების" გამართლებას? დეე, გაიგონ „შრომის ქვეყნის" ავტორებმა, რომ შრომის ქვეყანაში სხვის ნაშრომს არ ითვისებენ, არამედ სათანადოთ აღნიშნავენ და აჯილდოებენ მას.

ნ. ქურიძე (ზომლეთელი).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცეკას საორგ. განაწ. განყ. გაუქმებულად აცხადებს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დაკარგულ პარტ-ბილეთებს:

1) ბაზაშვილი ვასილი სოლომონის ძე—№ 491597, 2) შერაზადიშვილი სარდიონ სოლომონის ძე—№ 491621, 3) მესხი ელადიმერ [illegible] ძე—№ 491472 და 4) ვლადიმერ გუგავასი—№ 492238.

ფლორენცია, ალექსი ბოლქვაძეები, ნინა, გიგოლი წულუკიძეები, ცეცილია, ალექსანდრე და სამსონ წუწუნავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი
მარუსია ვ. შალომიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შვიდს დეკემბერს სოფელ მაკვანეთის სასაფლაოზე. 2952 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარგილიტა, დები—სოფიო, თამარ, ელენე, კატუშა და ძმები სერგო, ალიოშა, ვასო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 3 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ოზურგეთში მათი უძვირფასესი
მარუსია პორფილეს ასული ვაშალომიძე
დაკრძალვა მოხდება კვირას შვიდს დეკემბერს სამს საათზე სოფელ მაკვანეთის სასაფლაოზე. 1—1 2952

სახელმწ. დრამა
შაბათს, 6 დეკემბერს
„ვინძორის მხიარული ქალები"
30 ნოემბრის ბილეთები გამოდგე 7 დეკემბრისათვის, 2 დეკემბრის—9 დეკემბრისათვის. 3—2 ნის. 328

საზოგადოების საყურადღებოდ
ჟურნალ „მნათობი"-ს რედაქცია და მთავარი სამმართველო საქართველოს პოლიტგანათლებისა ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ დღეის რიცხვიდან ჟურნალ „მნათობი"-ს გავრცელების საქმის მოწყობა მიენდო ამხ. თომა ჩიქვანაიას.
ყველა დაწესებულებებმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, სადაც კი სწარმოებს ხსენებულ ჟურნალზე ხელისმოწერა, შეგროვილი ფული და ყოველგვარი ანგარიშები ერთი კვირის განმავლობაში უნდა ჩააბარონ ამხ. თომა ჩიქვანაიას.
მოქ. ჩოგოვაძე ალექ. სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარ თანამდებობისაგან ჟურნალის რედაქციის მიერ და მის, მოქ. ჩოგოვაძის მიერ, გაცემული მოწმობები თუ რწმუნების ქაღალდები ჟურნალ „მნათობის" გავრცელების შესახებ გაუქმებულია. შემდეგში ასეთი მანდატები გაცემულ იქნება ამხ. ჩიქვანაიას მიერ მისივე ხელისმოწერით.
ყველა დაწესებულებას ვთხოვთ მოქ. ჩოგოვაძესთან არავითარი დამოკიდებულება ჟურნალ „მნათობის" შესახებ არ იქონიონ.
ვისაც ხელი მოუწერია ჟურნალ „მნათობზე" და ჟურნალის ნომრები არ მიუღია, მათ ვთხოვთ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ამხ. თომა ჩიქვანაიას, შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 22 ჟურნალ „მნათობის" რედაქცია.
ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი და პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს გამგე ლ. რუხაძე.
ნ. 333. 3—2

მსახიობთა ქართული დრამა ამხანაგობა
1924—25 წ. სეზონი
ქართ. დივიზიის ცენტრ. კლუბი. (რუსთავ. პრ. № 10) წარმოდგენა № 2.
პარასკევს, დეკემბრის 5-ს
შ. დადიანი
გუშინდელნი
კომ. 3 მოქ. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი რეჟ. თანამ. ი. მამფორია. მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დასის გამგე ალ. იმედაშვილი.
ნ. 331 2—2

სახელმწ. ოპერა
დღეს, პარასკევს, 5 დეკემბერს
ჰოფმანის ზღაპრები
2—2 № 320

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა
აცხადებს
რომ იგი ამ დღეებში მიიღებს რ. ს. ს. რესპუბლიკაში შესყიდულ დიდძალ პარტია საქონელს
ვსთხოვთ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ჩვენთან საქონლის ბითუმად მყიდველებს მიიღონ ცნობები ამხანაგობის სავაჭრო განყოფილებაში (თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქარვასლა), მათთვის საჭირო საქონლის წინდაწინ შესაკვეთად.
ნის. 332 2—1

გამოვიდა და იყიდება
თბილისის აღმასკომის სტატისტიკო-ეკონომიური განყოფილებაში
(ოთახი № 31) ახალი (ქართულ ენაზე)
„ქ. თბილისის გეგმა"
ფასი 10 მანეთი.
ნის. 337 2—1.

წიგნები და წიგნების შკაფი.
(უსაჭიროესია სტუდენტებისთვის) წიგნები სოციოლოგ., ეკონომიკ., ისტორიისა, იურისპრუდ., ფილოსოფიური და ფსიხოლოგიური აგრეთვე საყურადღებო წიგნების შკაფი და ბუფეტი იყიდება ბებუთოვის ქუჩა № 42. ბინა 7.

ექიმი
შუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდი ელისაბედის ქ. № 89 ქსენიისქუჩი. პირდაპირ. 2672—25—21

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 დან—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9 205. 25—5

მათემატიკის გამოცდილი
მასწავლებელი
(14 წლ. კერძო პრაქტიკით და 10 წლის პედაგოგ. სტაჟით). ამზადებს შრომის სკოლის ყველა კლასებისათვის და ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში. რუსულ და გერმ. ენაში); აქვე სდგება საღამოს მოსამზ. ჯგუფი საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულ მოწმობაზე. მიღება დილით: 9—11 ს. და 2—5 საათ. მეცადინეობის დაწყება: 12 დეკემბერს. პლეხანოვის პროსპ. 25 (შესავალი ალექსის ქუჩა № 5).
4—1 № 2959

გამოცდილი მასწავლებელი
ამზადებს 1 და მე-2 საფეხურის ქართულ სკოლის ყველა ჯგუფებისათვის, თან ფრანგული ენის პრაქტიკულ სწავლებით.
მისამართი: Удельная № 7.
ქვ. 2945. 2—2

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ. 25—7 № 2850

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეციალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
13—13 2746

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული
სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი: ლენინის (ოლღას) ქ., 49. ტელ.—82. № 2797—25—12

ექიმმა
დიტრიხმა
ავადმყოფობის შემდეგ
განაახლა
ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში
ქვ. № 2837—25—8

დაკარგე ნიკოლოზ იაკობის ძე [illegible]კაბაძის სახელზე პირადობის წიგნაკი № 655 გაცემული ქუთაისის რაიონის სამხედრო მაზრის უფროსის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2950 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ქუთაისის რკ. გზის დნ|1 მიერ მოცემული № 31606 ფედოსი ივანეს ასული გოგოლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2956 1—1

დაკარგე სარევიზიო ბარათი № 25[illegible]0 ანდრო [illegible]რინაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2940 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 8791 მე-11-ტე სამილიციო რაიონის უფროსმა თანამშრომელმა კონსტანტინე გაბრიელის ძე გვიშიანმა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2955 1—1

დაკარგე კავშირის წიგნაკი ანა მექვაბიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2953 1—1

დაკარგე სენაკის განმუშ. პროფკავშირის წიგნაკი, დამზღვევ კასის წიგნაკი, პირადობის მოწმობა და სხვა წვრილმანი საბუთები ოლიმპიადა [illegible] ასულის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2951 1—1

დაკარგე სენაკის სამხედრო კომისარიატიდან მიღებული სამხედრო სარეგისტრაციო ბარათი 1924 წლის, პირადობის მოწმობა ქალაქის მილიციის უფროსისაგან მიცემული და მონადირეთა კავშირისაგან მიცემული თოფის მოწმობა ბ. ქეთო აფშილავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 295[illegible] 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველოდან № 771 ანტონ სიმონის ძე ნიშნიანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2949 1—1

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 3479 ნინო [illegible] ასულის ხახუტაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1948 1—1

დაკარგე საწევრო წიგნაკი მოცემული ჭიათურის სამთო-მადნო პროფ-კავშირის მიერ № 2836 პავლე [illegible]ლიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2958 1—1

სტამბა, სამ. წულუკიძის ქუჩა № 4.